



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
ENPARD



**CZECH REPUBLIC**  
DEVELOPMENT COOPERATION

წყალტუბოს განვითარების პოტენციალის  
ანგარიში  
საბაზისო კვლევა



საბაზისო კვლევა - „წყალტუბოს განვითარების პოტენციალის ანგარიში“ მომზადებულია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მიერ 2019 წელს, „წყალტუბოს განვითარების ჯგუფის“ პროექტის ფარგლებში (განმახორციელებელი, “ფიფლ ინ ნიდ” - PIN), წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის პოტენციური წევრების თანამონაწილეობით.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (ENPARD) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელი არიან კვლევის ავტორები და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

## შინაარსი

### შესავალი

1. საბაზისო კვლევის დიზაინი, მეთოდოლოგია და საფეხურები
2. საბაზისო კვლევის მონაცემების შედეგები
  - 2.1. ტურიზმი
  - 2.2. სოფლის მეურნეობა
  - 2.3. განათლება და უნარების განვითარება
  - 2.4. სოციალური დაცვის სისტემა და მონყვლადი ჯგუფების მდგომარეობა
  - 2.5. გარემოს დაცვა და მასთან დაკავშირებული რისკები
3. დასკვნა

### აკრონიმები

ENPARD - ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის

LDS - ადგილობრივი განვითარების სტრატეგია

LAG - ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი/ადგილობრივი განვითარების ჯგუფი

DRDVE of GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი

PIN - ადამიანები გაჭირვებაში

LEADER - ფრანგული აბრევიატურა, ითარგმნება როგორც ქმედებათა კავშირი სოფლის ეკონომიკისა და განვითარებისთვის

PRA (Participatory Rural Appraisal) - თანამონაწილეობრივი სოფლის შეფასების

გზმ - გარემოზე ზემოქმედების შეფასება

UNWTO - გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის

## შესავალი

საბაზისო კვლევის, ჩატარების მთავარი მიზანი იყო მონაცემების შეგროვება წყალტუბოს საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის შესწავლისთვის, რომელსაც მომავალში დაეყრდნობა წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის (LDS) შემუშავების მიზნით. გარდა ამისა, ამ პროცესში მნიშვნელოვანი იყო პოტენციური LAG-ის წევრების ჩართულობა და მათი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა. კვლევა შესრულდა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის (DRDVE of GIPA) მკვლევართა ჯგუფის მიერ, ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (ENPARD) პროგრამის მხარდაჭერით დაფინანსებული “წყალტუბოს განვითარების ჯგუფის” პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ჩეხური ორგანიზაცია - „ფიფლ ინ ნიდ“ (PIN). პროექტი ითვალისწინებს სოფლის განვითარების ქვემოდან-ზემოთ მიმართული, ინკლუზიური მოდელის დანერგვას წყალტუბოს მუნიციპალიტეტში და პროექტის განხორციელების პროცესთან დაკავშირებული საქმიანობის სრულ შესაბამისობის უზრუნველყოფას ევროკავშირის LEADER მიდგომის შესაბამისად. არსებული მოდელის თანახმად, ადგილობრივი მაცხოვრებლები იღებენ გადაწყვეტილებას რა არის საჭირო მათი მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის, თავად ქმნიან განვითარების სტრატეგიას და ირჩევენ პრიორიტეტებს.

აქედან გამომდინარე, საქართველოში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, კვლევა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის, ბიზნესის, ექსპერტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების გამოკითხვის მეშვეობით ადგილობრივი პრობლემებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებას, და მის დოკუმენტირებას, რაც შემდგომში გამოყენებულ იქნება ადგილობრივი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების გამოსავლენად და სტრატეგიის შესამუშავებლად.

საბაზისო კვლევამ გამოავლინა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის თვალთ დახახული ადგილობრივი პრობლემები, შეისწავლა მათ მიერ ადგილობრივ საჭიროებებთან დაკავშირებული ხედვა, მათი პრიორიტეტები და მოლოდინები და წარმოადგინა ადგილობრივი განვითარების შემდგომი პერსპექტივები.

საბაზისო კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას LDS-ის კონცეფციის, სტრატეგიული მიმართულებების დაგეგმვისა და ადგილობრივ დონეზე შემდგომი ქმედითი ღონისძიებების განხორციელების პროცესში.

### 1. საბაზისო კვლევის დიზაინი, მეთოდოლოგია და საფეხურები

საბაზისო კვლევა ემყარება თანამონაწილეობრივი სოფლის შეფასების (Participatory Rural Appraisal - PRA) პრინციპებს და მის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ახდენს ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებას და სოციალ-ეკონომიკური პოტენციალის გამოვლენას ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობით, თემში არსებული ცოდნისა და კომპეტენციის გამოყენებით, ქალების, ახალგაზრდებისა და მონყვლადი ჯგუფების შეხედულებების გათვალისწინებით. PRA მეთოდოლოგია მოიცავს შემდეგ ეტაპებს: გუნდის წევრების შერჩევას; ამოცანის და მიზნების განსაზღვრას; ქვე-თემების და თემატური ჯგუფების ფორმირებას; ინტერვიუს (გამოკითხვის) მეთოდების, დიზაინის და რესპონდენტების შერჩევას; ინტერვიუების ჩატარებას; სამაგიდე კვლევის განხორციელებას; თემატური

ჯგუფების სამუშაო შეხვედრების და პრეზენტაციების ორგანიზებას; ანგარიშის დოკუმენტის მომზადებას.

კვლევის პოპულაცია წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მთლიან მოსახლეობას, რომელიც 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით შეადგენს 56 883 ადამიანს. ის მოიცავს 43 მუნიციპალურ ერთეულს - მათ შორის ქალაქი წყალტუბო<sup>1</sup>. უფრო კონკრეტულად, მუნიციპალიტეტი შედგება შემდეგ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისგან: ქალაქი წყალტუბო; 12 თემი (რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე სოფელი) - გვიშტიბი, გუმბრა, დღნორისა, მალლაკი, მექვენა, მუხიანი, ოფურჩხეთი, პატრიკეთი, რიონი, ქვიტირი, ცხუნკური, წყალტუბო; და 4 სოფელი - გეგუთი, ოფშკვითი, საყულია და ფარცხანაყანევი.

კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენს სადისკუსიო საკითხები ღია კითხვარის სახით (კითხვარები იხილეთ დანართ 1 და დანართ 2-ში), რომელიც მომზადდა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის და მოიცავს სადისკუსიო თემებს კონკრეტული სექტორებისა თუ მომსახურების სფეროს წარმომადგენლებისთვის.

თვისებრივი კვლევა განხორციელდა ზემოთ მოცემულ თორმეტ თემში, 4 სოფელში და ქალაქ წყალტუბოში (სულ 17). გამოკითხვის მეთოდს წარმოადგენდა ფოკუს ჯგუფის ინტერვიუ ადგილობრივ მოსახლეობასთან (თემებში/სოფლებში) და ინდივიდუალური ინტერვიუ ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე მოქმედ ექსპერტებთან, ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან. ფოკუს ჯგუფი შედგება ერთი ან რამდენიმე მეზობელი სოფლების/თემების წარმომადგენლებისგან, რომლებსაც აქვთ საერთო პრობლემები. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა რიცხვი შეადგენს 10-15 ადამიანს.

ფოკუს ჯგუფ ინტერვიუებისთვის განხორციელდა დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება და მათი ინტერვიუზე მონაწილეობა. თემების მობილიზება უზრუნველყო GIPA-ს რეგიონულმა კოორდინატორმა PIN-ის მიერ მომზადებული პოტენციური LAG-ის წევრების საკონტაქტო სიის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლების დახმარებით. ფოკუს ჯგუფ ინტერვიუები ტარდებოდა საჯარო დაწესებულებებში (შეხვედრების განრიგი იხილეთ დანართ 3-ში).

ინდივიდუალური ინტერვიუებისთვის რესპონდენტების/ორგანიზაციების შერჩევა განხორციელდა PIN-ის და GIPA-ს საკონტაქტო მონაცემების, რესპონდენტების რჩევის, ფოკუს ჯგუფ ინტერვიუებში გამოვლენილ საკითხებზე დაყრდნობით და პოტენციური LAG-ის წევრების დახმარებით. შეხვედრები ტარდებოდა ადგილზე მისვლით (გამოკითხულთა სია იხილეთ დანართ 4-ში).

მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგია	
მეთოდი	თვისებრივი
ტექნიკა	ინდივიდუალური და ფოკუს ჯგუფ ინტერვიუ
სამიზნე ჯგუფი	42 მუნიციპალური ერთეულის სათემო წარმომადგენლობა ქალაქ წყალტუბოს ჩათვლით. განხორციელებული ფოკუს ჯგუფების რაოდენობა - 17 (კრიტერიუმები: ფოკუს ჯგუფის ზომაა 10 -15 ადამიანი,

<sup>1</sup> <http://tskaltubo.gov.ge/about?id=1>

	რომელიც წარმოდგენილია ადგილზე არსებული კომპეტენციებით, გამოცდილებით და გენდერული ბალანსით.
<b>შერჩევის ზომა</b>	255 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობა (პოპულაცია - 56 883 ადამიანი; საიმედოობის დონე – 95%; შერჩევის ცდომილება – 6.12%)
<b>შერჩევის ტიპი</b>	შემთხვევითი, მიზნობრივი შერჩევა
<b>კვლევის არეალი</b>	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, იმერეთის რეგიონი, საქართველო
<b>ინტერვიუს ხანგრძლივობა</b>	60-90 წუთი

**კვლევის მოსამზადებელი ეტაპი**

საბაზისო კვლევის განხორციელების დაწყებამდე მნიშვნელოვანი იყო წინარე ღონისძიებების განხორციელება, წყალტუბოს LAG-ის პოტენციური წევრების პროცესებში ინტეგრირება და მათი მაქსიმალური ჩართულობის მიღწევა მათი ცოდნისა და უნარების განვითარების მიზნით. ამ მიზნით ჩატარდა შემდეგი მოსამზადებელი სამუშაოები:

- GIPA-ს მკვლევართა ჯგუფის შეხვედრა წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) პოტენციურ წევრებთან და წყალტუბოს განვითარების პოტენციალის ანგარიშის შემუშავების ამოცანისა და მეთოდოლოგიის გაცნობა;
- საპროექტო განაცხადის მიხედვით წარმოდგენილი მინიმუმ ხუთი, სავარაუდო, შესასწავლი სექტორის დადგენა, კვლევის ხუთი მიმართულების სფეროების განხილვა და ვერიფიკაცია: (i) ტურიზმი, (ii) სოფლის მეურნეობა, (iii) განათლება და უნარები, (iv) სოციალური დაცვის სისტემა და მონაცემები ჯგუფების მდგომარეობა, (v) გარემოს დაცვა და მასთან დაკავშირებული რისკები.
- 10 ადამიანის იდენტიფიცირება და შერჩევა LAG-ის პოტენციური წევრებიდან, რომლებიც ჩაერთვებოდნენ სავსე ინფორმაციის შეგროვებაში შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: მუნიციპალური დაფარვა გეოგრაფიული ნიშნით (ცხოვრობდეს ან იცნობდეს თემს); დარგობრივი კომპეტენცია; ქალების და ახალგაზრდების ჩართულობა;
- შერჩეული LAG-ის პოტენციური წევრების დაყოფა 5 სათემო ინტერვიუერთა ჯგუფად (ერთ ჯგუფში 2 ადამიანი), რომლებიც GIPA-ს მკვლევართან ერთად მონაწილეობას მიიღებდნენ ფოკუს-ჯგუფ ინტერვიუების ჩატარებაში თემებში (სოფლებში) და უზრუნველყოფდნენ სავსე მონაცემების შეგროვებას პირველწყაროდან;
- შერჩეული LAG-ის პოტენციური წევრების გადანაწილება 5 სექტორულ/დარგობრივ ჯგუფში: (i) ტურიზმი, (ii) სოფლის მეურნეობა, (iii) განათლება და უნარები, (iv) სოციალური დაცვის სისტემა და მონაცემები ჯგუფების მდგომარეობა, (v) გარემოს დაცვა და მასთან დაკავშირებული რისკები;
- სამოქმედო გეგმის მატრიცის შემუშავება და შერჩეული LAG-ის პოტენციური წევრებისთვის გაცნობა და შეთანხმება სათემო ინტერვიუერთა და სექტორული/დარგობრივი ჯგუფების აქტივობებზე, განხორციელების პერიოდსა და ვადებზე, ანგარიშვალდებულებებზე და ა.შ.;
- GIPA-ს მკვლევართა ჯგუფის მიერ თანამონაწილეობრივი სოფლის შეფასების პრინციპების, სავსე მონაცემების შეგროვების (მონაცემთა შეგროვების მეთოდები, კითხვარის შედგენა, ინტერვიუს ჩატარების ტექნიკის და ა.შ.), სამაგიდო კვლევის



განხორციელების და მონაცემთა ანალიზის ტრენინგის ორგანიზება LAG-ის შერჩეული კანდიდატებისთვის;

- GIPA-ს მკვლევართა ჯგუფის მიერ კითხვარის ტესტირება და LAG-ის შერჩეული კანდიდატებისთვის პრაქტიკული ტრენინგის ორგანიზება ფოკუს-ჯგუფ ინტერვიუს პილოტირებით, ქალაქ წყალტუბოში.

#### არსებული ინფორმაციის მოძიება და სამაგიდე კვლევის განხორციელება

GIPA-ს მკვლევართა გუნდმა შეაგროვა კვლევის სექტორებთან დაკავშირებული ინფორმაცია. მათ შორის, გაეცნო წყალტუბოს მუნიციპალიტეტთან დაკავშირებულ ნაშრომებს, კვლევებს, ოფიციალურ სტატისტიკას, სამოქმედო გეგმებს და ა.შ. მონაცემები შესწავლილ იქნა უფრო ფართო კონტექსტშიც, რეგიონულ (იმერეთის) და ეროვნულ დონეზე. ინფორმაციის შეგროვება და მათი ანალიზი ასევე განხორციელდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისა და ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ მასალებზე დაყრდნობით. შესწავლილ იქნა შემდეგი სექტორები და მასთან დაკავშირებული თემები: ტურიზმი; სოფლის მეურნეობა; განათლება და უნარები; სოციალური დაცვის სისტემა და მონყველადი ჯგუფების მდგომარეობა; გარემოს დაცვა და მასთან დაკავშირებული რისკები.

სამაგიდე კვლევის დროს შესწავლილ იქნა შემდეგი ძირითადი წყაროები:

- წყალტუბოს 2019-2020 წლის ეკონომიკური განვითარების გეგმა;
- წყალტუბოს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა 2018-2022;
- საპიკნიკე ადგილის მონყობა წყალტუბოს ცენტრალურ პარკში, გარემოს და სოციალური გავლენის წინასწარი შეფასების ანგარიში, თებერვალი 2017;
- შპს „ენკა რინიუებლზის“ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი - 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ქვედა ნამახვანი) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში;
- წყალტუბოს 2017, 2018 2019 წლების ბიუჯეტი;
- საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მომხილვა 2016-2017-2018 წლები;
- ჩამდინარე წყლების მდგრადი მართვის პროექტი ქ. წყალტუბოს კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის (წარმადობით 6171 მ3/დღე) მშენებლობა და ოპერირება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, 2017 წელი;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2019 – 2022 წლებისათვის;
- იმერეთის რეგიონული განვითარების სტრატეგია 2014-2021;
- მდ. რიონზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის (ტვიში ჰესი – 100 მგვტ, ნამახვანი ჰესი – 333 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი, მიკროკლიმატზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, 2019 წლის აგვისტო;
- საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები;
- ინფორმაცია მოპოვებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდიდან;
- ინფორმაცია მოპოვებული სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდიდან და სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემები;
- ინფორმაცია მოწოდებული სოფლის განვითარების სააგენტოს საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის მიერ;
- ინფორმაცია მოწოდებული წყალტუბოს განათლების რესურს ცენტრის მიერ;
- სხვა.

სამაგიდო კვლევის ნარატივის ჯვარედინი გადამოწმება განხორციელდა ფოკუს-ჯგუფ ინტერვიუების და ინდივიდუალური ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. სამაგიდო კვლევის შედეგად ამოღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნა მოცემული კვლევის დოკუმენტში.

### პირველადი ინფორმაციის მოძიება და ანალიზი

პირველადი მონაცემების შეგროვება განხორციელდა ფოკუს-ჯგუფ ინტერვიუების და ინდივიდუალური ექსპერტ ინტერვიუების გზით. ფოკუს-ჯგუფ ინტერვიუები განხორციელდა სათემო შეხვედრების ფორმატში. სულ განხორციელდა 17 სათემო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 255-მა ადგილობრივმა მკვიდრმა. ინდივიდუალური ინტერვიუები განხორციელდა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე მოქმედ ექსპერტებთან და ძირითადი მომსახურების მიმწოდებელ კერძო და საჯარო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ინდივიდუალურ ინტერვიუში მონაწილეობა მიიღო 29 ექსპერტმა/ორგანიზაციამ.

პირველადი მონაცემების შეგროვება ეფუძნება პროექტის განაცხადით გათვალისწინებულ, თანამონაწილეობრივი სოფლის შეფასების (PRA) პრინციპებს და მისი გამოყენების ტექნიკას. ეს გულისხმობს ადგილობრივი კავშირ-ურთიერთობებისა და ცოდნის გამოყენებას, ადგილობრივი პრობლემების და საჭიროებების გამოსავლენად და გადანყვეტის გზების მოსაძიებლად, ადგილობრივი თემის მაქსიმალური ჩართულობითა და ფართო წარმომადგენლობით. ეს მიდგომა ხელს უწყობს საიმედო და ღირებული ინფორმაციის დროულად მოპოვებას. სავლელე სამუშაოებში აქტიურად იყო ჩართული LAG-ის 10 პოტენციური წევრი.

პირველადი მონაცემების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოხერხდა სამაგიდო კვლევის ჯვარედინი გადამოწმება. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემუშავდა "წყალტუბოს განვითარების პოტენციალის ანგარიშის" სამუშაო ვერსია (საბაზისო კვლევის დოკუმენტი).

ფოკუს ჯგუფი შედგება თემში მცხოვრები ადამიანებისგან, რომლებიც წარმოადგენენ ან მუშაობენ შემდეგ სფეროებში:

- სოფლის მეურნეობა: პირველადი მწარმოებლები (ფერმერები და კოოპერატივის წევრები) და გადამამუშავებლები, ექსტენციის მიმწოდებლები;
- ტურიზმი: სექტორში ჩართული ბიზნესები (სასტუმროები, ტურისტული კომპანიები, მომსახურების სხვა ობიექტები);
- განათლება და უნარების განვითარება: სკოლის პედაგოგები, ბაღის და პროფესიული მასწავლებლები, ლექტორები, ექსპერტები;
- ჯანდაცვა და სოციალური საკითხები: ექიმები, ექთნები, სოც-მუშაკები და ა.შ.;
- გარემოს დაცვა და ბიომრავალფეროვნება;
- სხვა ადგილობრივი ბიზნესი: მენარმეები, მრეწველები, მომსახურებების მიმწოდებლები;
- ხელოვნება, კულტურა, სპორტი და მემკვიდრეობა;
- ინფრასტრუქტურა, მშენებლობა და ენერჯეტიკა;
- ადგილობრივი არასამთავრობოები/სამოქალაქო საზოგადოება;
- ქალთა და ახალგაზრდული საკითხები;
- ადგილობრივი ხელისუფლება.

ან/და აქვთ შემდეგი სტატუსი:

- სოციალურად დაუცველი/მონყვლადი ჯგუფი;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე;
- მაღალმთიანი მოსახლეობა;
- ეთნიკური უმცირესობა;



- მიგრანტი/ეკო-მიგრანტი;
- იძულებით გადაადგილებული.

ფოკუს ჯგუფის შემადგენლობა ითვალისწინებდა ადგილობრივი ახალგაზრდების მონაწილეობას და გენდერული ბალანსის დაცვის აუცილებლობას.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეს შეიძლება წარმოედგინა ზემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე სექტორი/სფერო.

ფოკუს-ჯგუფ ინტერვიუები ჩატარდა სათემო ინტერვიუერთა ჯგუფის მიერ, რომელიც შედგებოდა პოტენციური LAG-ის 2 წევრისგან და GIPA-ს მკვლევარისგან. ინტერვიუები ჩატარდა ღია სადისკუსიო საკითხების ირგვლივ, თემატური ჩარჩოს მიხედვით, რომელშიც შედიოდა ქვე საკითხები. სადისკუსიო თემატიკა შემუშავდა მკვლევართა ჯგუფის მიერ, რომელიც შეთანხმდა პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან - „ფიფლ ინ ნიდ“ (PIN) და LAG-ის 10 პოტენციურ წევრთან. შეკითხვები ეხებოდა შემდეგ ძირითად სამიზნე თემებს/სექტორებს:

- ტურიზმი;
- სოფლის მეურნეობა;
- განათლება, კვალიფიკაციის/უნარების განვითარება, კულტურა, ხელოვნება და სპორტი;
- სოციალური საკითხები და ჯანდაცვა;
- გარემოს დაცვა.

#### სათემო შედეგების ანალიზი და პრეზენტაცია

სულ ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა მოიცავს 17 შეხვედრას, რომლის დოკუმენტირება განხორციელდა ხმის ჩამწერით. შეხვედრების დასრულების შემდეგ, ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ საკითხები თემებში მსგავსია შემდეგი 3 ზონალობის მიხედვით: მაღალი ზონა - მექვენა და დღნორისა, შუა ზონა - ცხუკური; ქალაქი წყალტუბო; სოფელი წყალტუბო; რიონი; ოფურჩხეთი; გუმბრა და გვიშტიბი და დაბალი ზონა - ქვითრი; ფარცხაყანევი; საყულია; პატრიკეთი; ოფშკვითი; მუხიანი; მაღლაკი და გეგუთი. აქედან გამომდინარე, ინფორმაციები დაჯგუფდა აღნიშნული ზონების მიხედვით, LAG-ის პოტენციური წევრები გადანაწილდნ შესაბამის ზონებში და წარმოადგინეს 3 პრეზენტაცია. პრეზენტაციების დროს მოხერხდა თემებში/სოფლებში ამოღებული პირველადი ინფორმაციის დამუშავება და გაერთიანება მუნიციპალიტეტის მაღალი, შუა და დაბალი ზონების მიხედვით. პრეზენტაციები მიზნად ისახავდა მოცემულ ზონებში შემავალი თემების (სოფლების) გაერთიანებას და პრობლემებისა და საჭიროებების ანალიზს საერთო მახასიათებლების მიხედვით. GIPA-ს მკვლევარებთან ერთად, შეჯამდა შეგროვებული ინფორმაცია, გამოვლინდა გარკვეული სახის ინფორმაციის ნაკლებობა და დაიგეგმა საჭირო ინფორმაციის ამოღების შემდგომი ნაბიჯები.

#### სექტორული ინტერვიუების შედეგების ანალიზი და პრეზენტაცია

სათემო შეხვედრების პარალელურად განხორციელდა 30 ექსპერტ ინტერვიუ მუნიციპალიტეტში არსებული სამიზნე თემების/სექტორების ძირითად ექსპერტებთან, ბიზნეს სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, კერძო და საჯარო მომსახურების მიმწოდებლებთან. ამისთვის შემუშავდა ინდივიდუალური ღია კითხვარები, ხოლო წყალტუბოს პროექტის განმახორციელებელი გუნდის (PIN და GIPA) და LAG-ის 10 პოტენციურ წევრის დახმარებით განხორციელდა სამიზნე რესპონდენტების იდენტიფიცირება. სექტორული ინტერვიუები განხორციელდა GIPA-ს მკვლევარების მიერ, LAG-ის პოტენციური წევრების ჩართულობით, რომლებიც გადანაწილდნ 5 თემატურ/სექტორულ ჯგუფში. ექსპერტ ინტერვიუები - ინდივიდუალური ან ჯგუფური



## 2. საბაზისო კვლევის მონაცემების შედეგები

### 2.1. ტურიზმი

#### ზოგადი ინფორმაცია

სპა კურორტი წყალტუბო მდებარეობს ქუთაისიდან 17, კოპიტნარის საერთაშორისო აეროპორტიდან 24, ხოლო თბილისიდან 250 კილომეტრის დაშორებით. რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მიმზიდველია საცხოვრებლად, სამუშაოდ, ტურისტულად და ინვესტიციის განსახორციელებლად.

გარდა სოფლის მეურნეობისა, მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან, მაპროდუქციულ დარგად ითვლება ტურიზმი. მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალით გამოირჩევა შუა და მაღალი ზონები. აქ განსაკუთრებულ როლს ასრულებს კურორტი წყალტუბო, რომელიც საბჭოთა დროიდან განთქმულია სამკურნალო თერმული წყლით, რელაქსაციისა და სამკურნალო პროცედურების ჩასატარებლად. აღსანიშნავია სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი და სპელეოლოგიური ძეგლები: სათაფლიის კარსტული მღვიმე, ყუმისთავის მღვიმე, ხომულის მღვიმე, თეთრი მღვიმე და საწურბლიას ეხი. ქალაქს 1920 წლიდან ბალნეოლოგიური კურორტის სტატუსი აქვს და საბჭოთა პერიოდში ტურისტების ნაკადს ვერ იტევდა. იმ დროს წყალტუბოში სულ 15 000 ტურისტის განთავსება იყო შესაძლებელი. ოპერირებდა მოსკოვი-წყალტუბოს მატარებელი. წყალტუბოს ტურიზმის განვითარების ცენტრის ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით, ბალნეოლოგიური დანიშნულებით შესაძლებელია 1 000 მღე, ხოლო ლამისთევით 5 000-მღე ვიზიტორს განთავსება.

წყალტუბოს სტუმრები არიან, როგორც ბალნეოლოგიური გრძელვადიანი ქართველი და უცხოელი ტურისტები, ასევე მცირევადიანი ტურისტები, რომლებიც ბალნეოლოგიურ კურორტს არ სტუმრობენ და მათი მიზანია შემეცნებით-გასართობი მიმართულებები. ისინი მღვიმეების დათვალიერებით შემოიფარგებიან. მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2019 წლის 6 თვის მონაცემებით, წყალტუბოში ჩამოსული ტურისტებისა და დამსვენებლების რაოდენობა შეადგენს 21 483 ვიზიტორს. წყალტუბოში ოპერირებს ტურისტული საინფორმაციო ცენტრი. ცენტრის მონაცემებით, 2018 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში იყო 315 000 ვიზიტორი, აქედან 155 000 იყო პრომეთეს მღვიმეში, 75 000 მღე სათაფლიაზე, დანარჩენი გადანაწილდა სასტუმროებში, აბაზანებსა და საოჯახო ტიპის სასტუმროებში. უცხოელ ვიზიტორთა მხრივ პირველი ადგილზე მყოფი ქვეყნების მიხედვით ისრაელია, მეორე ადგილზე მოხვდა პოლონეთი, მესამეზე გერმანია, მეოთხეზე რუსეთი და მეხუთეზე აზერბაიჯანი. ჩამოდიან ძირითადად 40 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის ტურისტები. ზემოთ მოყვანილი ციფრები ვიზიტორთა შესახებ ძალიან დაბალი მაჩვენებელია ტურიზმის განვითარებისათვის. უცხოელი ვიზიტორები არ არიან ინფორმირებული კურორტ წყალტუბოს შესახებ. ისინი შემთხვევით ხვდებიან ან უმეტესად ქუთაისში იგებენ კურორტის შესახებ. ტურისტული სეზონი ძირითადად აგვისტო-სექტემბრის პერიოდშია.

#### რესურსები

ამჟამად არსებული რესურსების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტს აქვს ტურიზმის სხვადასხვა სახეობის განვითარების შესაძლებლობა. ვერძოდ: სპელეოლოგიური, კულტურულ-შემეცნებითი და სამკურნალო ტურიზმი (შუა ზონა), ეკო-ტურიზმი (მაღალი და შუა ზონა), სათავგადასავლო-ექსტრემალური ტურიზმი მდინარე რიონზე, აგრეთვე ველო-ტურიზმი (მაღალი და შუა ზონა), აგროტურიზმი (მაღალი და შუა ზონა) და ღვინის ტურიზმი (მაღალი ზონა).



წყალტუბოს უნიკალური მინერალური წყლები ცნობილია განსაკუთრებულად სტაბილური ფიზიო-ქიმიური მახასიათებლებით. თერმულ-რადონული მსუბუქი და უსუნო წყალი, რომელიც ბუნებრივად მოედინება და რომლის ბუნებრივი ტემპერატურაა 33–35 გრადუსი ცელსიუსი, საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას წინასწარი გაცხელების გარეშე. გარდა ამისა აღსანიშნავია სუფთა სასმელი წყლის რესურსიც.

კურორტ წყალტუბოს ტერიტორიაზე, 78 ჰექტარზე, გაშენებულია 150-ზე მეტი სხვადასხვა ჯიშის მრავალწლიანი ფოთლოვანი და წიწვოვანი ხის ნარგავები. კურორტის ტერიტორიაზე შექმნილია ხელოვნური „ცივი ტბა“, რომელიც შეიქმნა 1930-იან წლებში.

წყალტუბო ცნობილია სამთო წიაღისეული სიმდიდრეებით. აღსანიშნავია სამრეწველო მნიშვნელობის მქონე ბენტონიტური თიხა გუმბრინი. მისი პირველადი გადამუშავება ხდება სოფელ გუმბრაში. აქ ინარმოება ორი სახის პროდუქცია: მათეთრებლის, რომელსაც იყენებენ ნავთობის ტიტრაციისათვის და საყალიბე გუმბრინი რომელიც ფხვნილის სახით გამოიყენება მეტალურგიაში ყალიბების დასამზადებლად. გუმბრინი ასევე აღმოჩენილია ცხუნკურსა და ყუმისთავშიც. ამ ზონაში გვხვდება აგრეთვე კირქვების და გრანიტის საბადოებიც. კირქვებისაგან ამზადებენ კირს და ბუნებრივი ქვის სამშენებლო ბლოკებს<sup>2</sup>.

ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, სოფელ დღნორისაში ოდესღაც იყო სამკურნალო ტალახები, რომელიც კურნავდა ძვალ-სახსროვან დაავადებებს, თუმცა დღეს მისი კვალი გამქრალია.

## სერვისები

### სასტუმროები და განთავსების მსგავსი ადგილები

სასტუმროების ცნობილ საიტზე - booking.com, 2019 წლის ნოემბრის მდგომარეობით ქალაქის ცენტრში მოიძებნა 24 სასტუმრო, ხოლო მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე 19 სასტუმრო. სამწუხაროდ, ვებ გვერდი მხოლოდ სასტუმროს დასახელებას და მისამართს მოიცავს. ისიც მხოლოდ ქართულ ენაზე. აქედან შეუძლებელია სასტუმროს შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება, თუნდაც საკონტაქტო დეტალების. ინფორმაციას სასტუმროს შესახებ არც ბმული აქვს, საიდანაც შეიძლება სხვა ვებ გვერდზე გადასვლა და სრული ინფორმაციის მოძიება. რთული აღმოჩნდა სტატისტიკის პოვნა, თუ რა რაოდენობის სტუმრები მიიღეს სასტუმროებმა და კაფე-ბარებმა 2019 წელს.

აღსანიშნავია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სასტუმროები და საოჯახო სასტუმროები თავმოყრილია ქალაქ წყალტუბოში, მხოლოდ რამდენიმე საოჯახო ტიპის სასტუმრო არის ქალაქის შემოგარენ სოფლებში, ასევე ქვითრში მდებარეობს ორი სასტუმრო, მექვენაში ორი საოჯახო სასტუმრო და ფარცხანაყანევშიც ორი საოჯახო სასტუმრო. ზაფხულობით, ძალიან იშვიათად გვხვდებიან უცხოელი ტურისტები, რომლებიც ძირითადად შემთხვევით ან რუკაზე დატანილი ინფორმაციის საფუძველზე იმყოფებიან.

ქალაქ წყალტუბოში კი გასული საუკუნიდან მოყოლებული ბევრი საოჯახო სასტუმროა, რომელიც ძირითადად ქალაქის ცენტრშია თავმოყრილი. ქალაქ წყალტუბოში გვხვდება მაღალი კლასის სასტუმროებიც, როგორცაა სასტუმრო „წყალტუბო პლაზა“, „ოაზისი“, „არგო“, „პრომეთე“ „იმერეთი“. ასევე ფუნქციონირებს ადღგენილი სანატორიუმები „სპა რესორტი“ და პანსიონატი „წყალტუბო“. საერთაშორისო ბრენდი წყალტუბოში არ არის. სასტუმროების ფასი ორადგილიან ნომერზე მერყეობს 70 დან 330 ლარის ფარგლებში, დილის საუბმით.

<sup>2</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3959762?publication=0>

ადგილობრივი განვითარების ჯგუფის გათვლებით საოჯახო სასტუმროების რაოდენობა 50 ერთეულს არ აღემატება. ფასი ერთ ადამიანზე მერყეობს 10-40 ლარამდე - საუზმის გარეშე. აქედან აქტიურად მუშაობს 15-20 სასტუმრო. საოჯახო სასტუმროებში ხანგრძლივი დროით ძირითადად რჩებიან აზერბაიჯანელი სტუმრები, რომლებიც წლებია დადიან ბალნეოლოგიურ კურორტზე სამკურნალოდ.

### მკურნალობა, გეოგრაფია და სპა

სამკურნალო ტურიზმის განვითარების კუთხით წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი უკვე არსებობს. ფუნქციონირებს მაღალი სტანდარტების ოთხი აბაზანა, რომელიც ემსახურება ვიზიტორებს. კურორტის მთავარ ტურისტულ ატრაქციას სამკურნალო და გამაჯანსაღებელი კომპლექსი „ბალნეოკურორტი წყალტუბო“ წარმოადგენს, რომელიც 1892 წლიდან მასპინძლობს უცხოელ და ადგილობრივ დამსვენებლებს.

ბუნებრივი სამკურნალო საშუალებაა აგრეთვე კარსტული მღვიმეები. მღვიმეების მიკროკლიმატი გამოიყენება სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ და მეტად ეფექტური შედეგი აქვს. **საწურბლიას მღვიმე** (სოფ. ყუმისთავი) პირველი საერთაშორისო სტანდარტების სპელეო-გამაჯანსაღებელი მღვიმეა, რომელშიც სასუნთქი გზების - ასთმური პრობლემების მქონე პირები გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარებას შეძლებენ. პროექტის ფარგლებში, ამენდა ვიზიტორთა ცენტრი და ამბულატორია. მღვიმეში დამონტაჟდა განათების სისტემა. საწურბლიას მღვიმე აქტიურ და პასიურ ზონად იყოფა. აქტიურ ზონაში მოეწყო სათამაშო მოედანი ბავშვებისთვის, ხოლო პასიურ ზონაში განთავსდა შეზღოვნები. ამჟამად მიმდინარეობს რესტავრაცია და 2020 წლისთვის დასრულდება ორი მღვიმე: **ფეთარი მღვიმე**, რომელიც ქალაქი წყალტუბოდან 500 მეტრში მდებარეობს და თითქმის მიბმულია ქალაქზე. აქ ასთმით დაავადებული ხალხის სამკურნალო დარბაზების გარდა იქნება ღვინის სადგესტაციო დარბაზიც. მეორე, **დექნისწყაროს მღვიმე**, რომელიც სოფელ ხომულში მდებარეობს, გაცემულია იჯარით და სარემონტო სამუშაოები მალე დაიწყება.

### გართობა და შემეცნება

წყალტუბოს არ აქვს ბევრი გასართობი თუ ფულის დასახარჯი ადგილი, რაც მიიზიდავდა ტურისტებს. ტურისტები ძირითადად მიდიან ბაზარში, მაგრამ ბაზარიც არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. გარდა ამისა, ბაზარში მწირია ტურისტზე გათვლილი პროდუქტი, ხოლო არსებული პროდუქციაც არ არის მარკეტინგულად „შეფუთული“.

წყალტუბოს ტურიზმის განვითარების ცენტრის ინფორმაციით აღსანიშნავია ორი მთავარი ლოკაცია, რომელიც იზიდავს ტურისტების დიდ ნაკადს:

**პრომეთეს მღვიმე** სოფ. ყუმისთავის ტერიტორიაზე 1984 წელს მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციის წევრმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა აღმოაჩინა, იგი მსოფლიოში უნიკალურ ძეგლად იქნა აღიარებული, რადგან უდიდესია განზომილებით, გამკვრივების მრავალსახეობით, მინისქვეშა მდინარეების მნიშვნელობითა და პეიზაჟის მრავალფეროვნებით. პრომეთეს მღვიმეში შესაძლებელია ნავებით გასეირნება.

**სათაფლიის მღვიმე** 1925 წელს პეტრე ჭაბუკიანმა პირველყოფილი ადამიანის სადგომის ძეგლის დროს აღმოაჩინა. დეკორაციებად წარმოდგენილი სტალაქტიდები, სტალაგმიტები და სტალაგნატები აქ ურთიერთგანსხვავებულ დარბაზებსა და საოცარ პეიზაჟებს ქმნიან: მღვიმეში მუდმივი ტემპერატურა 14 გრადუსია. სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი აერთიანებს კოლხურ ტყეს, კარსტულ გამოქვაბულსა და დინოზავრის ნაკვალევს. სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ინფრასტრუქტურა მოიცავს: ვიზიტორთა ცენტრს,



დინოზავრის ნაკვალევის საკონსერვაციო ნაგებობას, საგამოფენო დარბაზს, შუშის პანორამულ გადასახედს, კაფეებს, სუვენირების მაღაზიებს, კეთილმოწყობილ მღვიმესა და მარკირებულ ბილიკებს. აქ ვიზიტორებს შეუძლიათ მოინახულონ დინოზავრის გაქვავებული ნაკვალევი, კარსტული მღვიმე, კლდის ბილიკი, კოლხური ტყე, პანორამული გადასახედები. სათაფლიის აღკვეთილი იმერეთის რეგიონში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მდებარეობს, სადაც აღმოჩენილია სხვადასხვა ეპოქის როგორც მტაცებელი, ასევე ბალახისმჭამელი დინოზავრის ნაკვალევი.

გარდა ზემოთხსენებული პოპულარული ადგილებისა არის ასევე ვიზიტორთათვის სხვა ძალიან საინტერესო მიმართულებები, როგორიცაა:

- გეგუთის ციხე-დარბაზი (სოფ. გეგუთი);
- ხომულის ციხე (სოფ. ხომული);
- ქვილიშორის ციხე (სოფ. ქვილიშორი);
- მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (ქ. წყალტუბო);
- ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმი (სოფ. ჩუნეში);
- ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმი (ქ. წყალტუბო);
- ხომულის მღვიმე (სოფ. ხომული);
- გაბზარული ტბა-რუშავას ჩანჩქერი (სოფ. ყუმისთავი);
- ჭოლევის მონასტერი და ზარათის ეკლესია (სოფ. ჭოლევი);
- წმინდა კვირიკეს ეკლესია (სოფ. ტყაჩირი);
- დერჩის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია (სოფ. დერჩი).

აქ არსებობს სტალინის აგარაკი და აბაზანა, რომელიც შეიძლება გადაკეთდეს მუზეუმად. ვიზიტორების ნაწილს იზიდავს სანატორიუმების უნიკალური არქიტექტურა და ბუნება ფოტოგრაფიისთვის.

**კაფე - რესტორნები და მარნები**

ქალაქ წყალტუბოში და მის შემოგარენში ფუნქციონირებს რამდენიმე რესტორანი და კაფე ბარი, როგორიცაა: „ლეიქ საიდი“, „მაგნოლია“, „ქალაქური“, „იონას კაფე“, „ხვამლი“, „ვიოლინო“, რესტორანი „კვამლი“, კაფე „ნექტარი“, რესტორანი „სტალაქტიდა“, რესტორანი „პრომეთე ვერანდა“, რესტორანი „ჩვენი ქალაქი“, კაფე-რესტორანი „ნაძვები“, ასევე „გრანდ-პალასი“, სასტუმროებში: „წყალტუბო პლაზა“ „ოაზისი“ და „პრომეთეში“ განთავსებულია ბარ-რესტორნები. კურორტზე ჩამოსული დამსვენებლის ყველა ფენისთვის შესაძლებელია მისაღებ ფასად კვება.

სტუმრებს შეუძლიათ ენვიონ ადგილობრივ მარნებს, ეზიარონ ტრადიციულად დანერულ ღვინოების ნაირსახეობას და ქართული სტუმარმასპინძლობის წესს და ადგილობრივ საოჯახო სამზარეულოს. მუნიციპალიტეტში არის 4 მარანი: ოტიას ეზო - ქ. წყალტუბოში; გოგიას მარანი - სოფ. გვიშტიბი; ხომულის მარანი - სოფ. გვიშტიბი და მათეს მარანი - სოფ. ბანოჯა. მშენებლობის პროცესშია პრომეთეს მღვიმესთან სოფელ ყუმის თავში დიდი სასტუმრო, სადაც ქვევრის ფორმის სადეკუსტაციო მარანი იქნება განთავსებული.

უნდა შეიქმნას მეტი სხვადასხვა სახის მომსახურება, რომელიც ტურისტს გაუჩინს განრძლივად დარჩენის სურვილს.

**ტრანსპორტი**

მაღალი ზონის სოფლებში საზოგადოებრივ ტრანსპორტზე წვდომა არ არსებობს. რიგ სოფლებში მოსახლეობას უწევს რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლა და სხვა მუნიციპალიტეტების საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქ. წყალტუბო წარმოადგენს მხოლოდ ადმინისტრაციულ ცენტრს და სოციო-



ეკონიმიკურად ვერ იზიდავს თავისი მუნიციპალიტეტის (სოფლების/თემების) მოსახლეობას. ამის ალტერნატივას წარმოადგენს ქალაქი ქუთაისი.

სამარშრუტო ტაქსები, თბილისი-წყალტუბო მოძრაობს ყოველდღიურად დილის 6:00 საათიდან 17:00 საათამდე.

სამარშრუტო ტაქსები (#4, 10, 34 და 44) ყოველ ნახევარ საათში ერთხელ მოძრაობს ქუთაისი-წყალტუბოს მიმართულებით.

სამარშრუტო ტაქსი საათში ერთხელ დადის ქალაქის ბაზრიდან წყალტუბო - პრომეთეს მღვიმე. მატარებელი, ქუთაისი-წყალტუბო, ძალიან არაკომფორტულია და დღეში ორი რეისით შემოიფარგლება.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოძველებული, არაკომფორტული და თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამოა. ასევე სოფლებში არის გრუნტის გზა და მაღალი ზონის სოფლებში უხვი ნალექის შემთხვევაში გადაადგილება შეზღუდულია.

### ადამიანური რესურსი და შრომის ბაზარი

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს კვალიფიციური კადრების დეფიციტი ტურიზმთან და სტუმარმასპინძლობასთან დაკავშირებული მომსახურების ყველა სფეროში. ამას ემატება ახალგაზრდების გადინების პრობლემაც. სარესტორნე და სასტუმრო საქმის წარმოების მიმართულებით არის, როგორც მოდულური ისე მოკლე შემსწავლელი კურსები ქუთაისში. შესაბამისად, პროფესიონალების მომზადება-გადამზადების პრობლემა არ წარმოადგენს მოუგვარებელ პრობლემას.

### კომუნიკაციები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საერთო გზები 335 კმ-ს შეადგენს. წყალტუბოს ადგილობრივი ბიუჯეტის ინფრასტრუქტურის 80-90% ხმარდება გზებს და ასევე გარე განათებას. გზების 40% რეაბილიტირებულია. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ენერჯო პრო ჯორჯია მუშაობს, მთელ მუნიციპალიტეტში არის 24 საათიანი ელექტრო მომარაგება. მუნიციპალიტეტის 90% გაზიფიცირებულია. 2022 წლისთვის ყველა სოფელი იქნება გაზიფიცირებული. ტელე-კომუნიკაციები ყველგან ხელმისაწვდომია. გამონაკლისს წარმოადგენს ინტერნეტის დაბალი ხარისხი.

### პოზიციონირება და მარკეტინგი

წყალტუბო ყველაზე მწვანე, ბალნეოლოგიური კურორტია საქართველოში. წყალტუბო არ წარმოადგენს სეზონურ კურორტს. მას საკურორტო პოტენციალი აქვს წელიწადის 12 თვის განმავლობაში. ეს ადგილი სამკურნალო თვისებებით ჯერ კიდევ XII-XIII საუკუნეებიდან სარგებლობს პოპულარობით. კურორტის ტურისტული აყვავების საბჭოთა ოქროს ხანაც კი ახსოვს მუნიციპალიტეტს. ჯერ კიდევ არსებობს ისტორიული მესხიერება იმისა თუ რამდენად პუპულარულ და ელიტურ დასასვენებელ ადგილად ითვლებოდა წყალტუბო. ამაზე მეტყველებს კურორტზე მორგებული ზონალური ქალაქ-გეგმარება (1-ლი ზონა: წყლის შადრევნები და მის გარშემო გაშენებული პარკი; მე-2 ზონა: სანატორიუმები, აბაზანები და სხვა მომსახურების/გართობის ობიექტები; მე-3 ზონა: საცხოვრებელი ზონა), დღემდე შემორჩენილი დანგრეული სანატორიუმების მასშტაბები და მათი არქიტექტურა.

წყალტუბო, სამკურნალო ტურიზმის კუთხით საერთაშორისო მნიშვნელობის კურორტია, რომელიც გამოირჩევა უნიკალური მიკრო-კლიმატით, სიმწვანით და განსაკუთრებული ჰიდროგეოლოგიური აგებულებით. თუმცა, გარდა სამკურნალო ტურიზმისა, არსებობს ხვა ტურისტული მიმართულებების განვითარების პოტენციალიც. უცხოელი ტურისტების დიდ



ნაწილს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სწორედ ეკო და სათავგადასავლო ტურზმი იზიდავს. გარდა დასული ტერიტორიებისა, მღვიმეებისა, ასევე, ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლე ეკო-ტურიზმის განვითარებისთვის საუკეთესო პირობებს ქმნის.

2018 წელს წყალტუბო, როგორც ბალნეოლოგიური კურორტი გახდა ევროპის ისტორიულ-თერმული ქალაქების ასოციაციის წევრი, რაც კურორტულ ქალაქს ბალნეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვასა და განვითარებაში დაეხმარება. ეს ფაქტი ასევე ხელს შეუწყობს თანამშრომლობას მსოფლიოს სხვადასხვა ბალნეოლოგიურ ქალაქებთან, როგორცაა ბადენბადენი, ვიში და სხვა. 2019 წელს „ბალნეოკურორტი წყალტუბო“ გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) აფილირებული წევრი გახდა. ეს არის წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაცია ტურიზმის სფეროში და ხელს უწყობს მსოფლიო მასშტაბით სიცოცხლისუნარიანი და ყველასათვის ხელმისაწვდომი ტურიზმის განვითარებას, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში.

ამ მიზნით, წყალტუბოს ტურიზმის განვითარების ცენტრის მხარდაჭერით ხორციელდება ისეთი აქტივობები, როგორცაა: ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა, ინფო-ტურების ორგანიზება, პრეს-ტურების ორგანიზება გავლენიანი საერთაშორისო მედიისა და ჟურნალისტების მოწვევით, მოგზაურთა კლუბების და ტურისტული კომპანიების მოწვევა და სხვადასხვა სერვისების შეთავაზება/პოპულარიზება.

### პოტენციალი

2019-2020 წლების წყალტუბოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით მთლიანი მუნიციპალური პროდუქტის 6% მოდის ტურიზმზე, თუმცა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის პროცენტული მაჩვენებელი რეალურად უფრო მაღალია, ვინაიდან აქ არ ჩანს მომსახურების სხვა დარგების პროცენტული წილი, რომლებიც ტურიზმთან პირდაპირ თუ ირიბ კავშირშია. გეგმის მიხედვით, მეორე მთავარი სტრატეგიული ამოცანაა ტურისტული ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება. შესაბამისად, განსახორციელებელ ძირითად აქტივობებში გათვალისწინებულია: ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების მოწყობა, მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება, ინკლუზიური ტურიზმის განვითარების ობიექტების მოწყობა, აგროტურიზმის განვითარებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება მაღალმთიან სოფლებში, ტურისტული ობიექტების მიმართულების მანიშნებელი აბრების მოწყობა, მნიშვნელოვანი ობიექტების რეაბილიტაცია, ტურისტული მომსახურების სფეროში კადრების მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების ტრენინგ-კურსების განხორციელება, ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვაში და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღება, უმუშევართა ერთიანი მუნიციპალური ბაზის შექმნა, საინფორმაციო/საკონსულტაციო ცენტრის შექმნა კერძო ბიზნესის წარმომადგენლების ინფორმირების მიზნით. ბოლო ორი აქტივობა უფრო გლობალურია, თუმცა მოიცავს ტურიზმთან დაკავშირებული ძირეული საკითხების მოგვარებას.

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სწრაფი და დროული ინფრასტრუქტურული პროექტების დაწყება, განხორციელება და დასრულება ბიძგს მისცემს ბიზნესების დაინტერესებას სხვადასხვა პროექტების ინვესტირებაში.

აუცილებელ საჭიროებას საზოგადოებრივი ტრანსპორტის საკითხის მოგვარება მუნიციპალიტეტის მასშტაბით. ამასთანავე, თავიდანვე გასათვალისწინებელია მარშრუტები, განრიგი, ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის პრეცედენტის დანერგვა. ამ საკითხის დროული მოგვარება ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის და ტურიზმის განვითარებას.

არსებული რესურსებისა და ობიექტების გათვალისწინებით შესწავლილ უნდა იქნეს სხვა ქვეყნების გამოცდილებაც თუ რა დამატებითი გასართობ-დასასვენებელი ობიექტების აშენებაა შესაძლებელი და სად. აუცილებელია ამის მიხედვით გაკეთდეს ახალი ქალაქ-განვითარების გეგმა. საბაზისო პრობლემების მოგვარების და ახალი განვითარების გეგმის შემუშავების შემდეგ, მაშინ როცა შეიქმნება ჯანსაღი საინვესტიციო გარემო, უნდა დაიწყოს საინვესტიციო შემოთავაზებების/პაკეტების შექმნა, აქტიური კომუნიკაცია-კონსულტაცია და ბიზნესების წახალისება, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, რაც აგრეთვე წმინდა სახელმწიფო პრეროგატივაა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ინფორმაციით, სახელმწიფომ უკვე დაიწყო მუშაობა და შესაბამისი კვლევები ქალაქის განაშენიანების გეგმაზე.

მიუხედავად გარკვეული ძალისხმევისა, განხორციელებული და განსახორციელებელი აქტივობებისა, აუცილებელია მუდმივი ძალისხმევა კურორტის პოპულარიზებისა და ცნობადობის ამაღლებისთვის. სარეკლამო აბრების, სლაიდების, პრეზენტაციების, ვიდეო რგოლების გაშვება, ბეჭდვითი თუ სხვა მსგავსი მასალების მომზადება და გავრცელება-რეკლამირებას სხვადასხვა არხების მეშვეობით, როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო დონეზე. წყალტუბოს აქვს შიდა ტურიზმის განვითარების პოტენციალიც. როგორც სტრატეგიული განვითარების დოკუმენტშია აღნიშნული, აუცილებელია დროულად შეიქმნას საშუალო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს წყალტუბოს საინვესტიციო მიზმიდველობის ზრდაზე, მუნიციპალიტეტის პოპულარიზებაზე, რეკლამირებაზე, სტრატეგიული პარტნიორების მოძიებაზე, ტურისტებისა და ინვესტორების მოზიდვაზე, მუნიციპალიტეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, სათანადო საინფორმაციო არხების მეშვეობით, რომელიც იქნება მეტად მოქნილი, გამჭვირვალე და დაეხმარება ბიზნესს, მიიღოს ინფორმაცია ერთ სივრცეში.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, წყალტუბოში ტურისტული განსაზღვრებული სექტორები შეიძლება დაიყოს:

ველნესი - სტუმრებს შეუძლიათ ისიამოვნონ წყლის პროცედურების და სპა მასაჟის ფართო არჩევანით, დაისვენონ და მოწყდნენ ცხოვრების ყოველდღიურ რუტინულ რიტმს, მოიხსნან სტრესი ქალაქის შუაგულში მდებარე დიდ მწვანე პარკში, გაატარონ დრო ოჯახთან და მეგობრებთან ერთად;

სამკურნალო და გამაჯანსაღებელი - სტუმრებს შეუძლიათ იმკურნალონ ისეთ დაავადებებზე, როგორიცაა: სისხლის მიმოქცევა, ნერვული, კუნთოვანი და კანის დაავადებები. კარსტული მღვიმეების გამოყენებით შესაძლებელია ფილტვების დაავადებათა მკურნალობა. პროცედურების ჩატარება შეუძლიათ იმ ადამიანებსაც, რომლებიც პროფილაქტიკის მიზნით უბრალოდ ჯანმრთელობას უფრთხილდებიან;

შეხვედრები - სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ მოაწყონ ბიზნეს შეხვედრები, კონფერენციები, წვეულებები, საღამოები და სხვა მსგავსი ღონისძიები;

აგრო, ოჯინის და გასტრონომიული ტურები - ახალი და მეტად პოპულარული მიმართულებაა, რომელიც კარგად ერწყმის ქართული სტუმარმასპინძლობის, სოფლად ცხოვრების და ტრადიციული მეღვინეობის კულტურის პოპულარიზებას;

ეკო და სათავგადასავლო ტურიზმი - უცხოელი ტურისტების დიდ ნაწილს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სწორედ ეკო და სათავგადასავლო ტურზმი იზიდავს. მღვიმეები, დაცული ტერიტორია, მთა, მდინარე, ტბა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ატრაქციები, რომლის განვითარებაც შეიძლება, რეალური მიზმი გახდება იმისა, თუ რატომ უნდა დარჩეს სტუმარი უფრო მეტ ხანს წყალტუბოში.



განსაკუთრებული ყურადღება და კონკრეტული ამოცანების დაგეგმვა მისი სამოქმედო გეგმით არის აუცილებელი მაღალი ზონის სოფლებისთვის, ვინაიდან იქ ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად გაცილებით მეტია გასაკეთებელი, თუმცა ეს შეაფერხებს სოფლების დაცარიელებას. აუცილებელია მიზნობრივი პროგრამების მიმართვა. საუკეთესო მაგალითის საჩვენებლად მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის მხარდამჭერი პროექტების განხორციელება, რომელიც იქნება ტურიზმზე და ტურისტული ობიექტების განვითარებაზე ორიენტირებული. მნიშვნელოვანია, საქართველოს სხვა მაღალმთიან სოფლებში არსებული გამოცდილების გაზიარება და გაცნობა. მოსახლეობას უნდა მიეცეს მოტივაცია აკეთონ საქმე მათთვის საინტერესოდ, რაც იქნება გაყიდვადი და მომგებიანი. ანგარიშგასაწევია საგზაო ინფრასტრუქტურის მონესრიგების საკითხიც.

მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობისა და შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების, სტანდარტების შემოღების საკითხებში ბიზნეს ოპერატორების ინფორმირება და კონსულტირება.

ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და ექსპერტების აზრით, იმისათვის რომ კურორტი განვითარდეს, აუცილებელია მონესრიგდეს შემდეგი საკითხები:

- პარკის ინფრასტრუქტურა: განახლდეს და დაემატოს სკამები, დაიდგას შადრევანი. სანაგვე ურნები საჭიროებს დროულ და რეგულარულ გასუფთავებას;
- მოსაწყობია საბავშვო გასათრობი ზონები: ატრაქციონები, ქვიშის, სავარჯიშო, მოწყობის ახალგაზრდული ღია კაფეები;
- მოწყობის საზოგადოებრივი საპირფარეშოები;
- შეიქმნას გასართობ-შემეცნებითი ცენტრები უფროსი ასაკის ადამიანებისთვის;
- მოწყობის საზაფხულო კინოთეატრი;
- ღია ცის ქვეშ მოწყობის სპორტული აქტივობებისთვის სხვადასხვა სახის ტრენაჟორები;
- გაკეთდეს ცოცხალი ყვავილების კლუბები;
- გაკეთდეს პატარა ხის სავაჭრო ფარდულები სადაც გაიყიდება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთები;
- გაკეთდეს სუვენირების სახელოსნო, სადაც ტურისტებს შეეძლება თავიანთი ხელითაც შექმნან სხვადასხვა სახის სუვენირები;
- შემუშავდეს ახალი ტურისტული მარშრუტები;
- მომზადდნენ გამყოლი ვიდეოები, რომლებიც ვიზიტორებს შესთავაზებენ საფეხმავლო ტურებს და ა.შ.

მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს დევნილებისაგან დაცარიელებული და ამ ეტაპზე უსარგებლო სანატორიუმების გასხვისება და ინვესტორების მოზიდვა. ჯერჯერობით ამ კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯებია სანატორიუმების: „მეშახტის“, „ივერიის“ და „ცისკარის“ პირობებიანი პირდაპირი განკარგვის წესით, ინვესტიციით, პრივატიზება, რაც ითვალისწინებს მაღალკომფორტული სასტუმროების მონაცობას. ეს კი ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასა და ტურისტებისათვის კომფორტული გარემოს შექმნას. ჯერ კიდევ არსებობს სანატორიუმები, სადაც განთავსებულნი არიან იძულებით გადაადგილებული პირები, მიზანშეწონილია სახელმწიფომ გადანაცვით მათი საცხოვრისით უზრუნველყოფის საკითხი, რაც ნაწილობრივ დაწყებულია და გამოთავისუფლებული სანატორიუმების პრივატიზებით ხელი შეუწყონ კერძო ბიზნესის განვითარებას სასტუმრო ინდუსტრიაში. არსებული ინფორმაციით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ყოფილი სანატორიუმების პრივატიზების პროცესი კვლავაც გაგრძელდება და ნებისმიერ



დაინტერესებულ პირს, ინვესტორს, შესაძლებლობა ექნება განავითაროს ტურისტული ბიზნესი.

## 2.2. სოფლის მეურნეობა

### ტერიტორია და ზონირება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთით, მდინარეების რიონისა და გუბისწყლის ხეობაში მდებარეობს. აღმოსავლეთით მას ესაზღვრება ქ. ქუთაისი, დასავლეთით სამტრედიისა და ხონის, ჩრდილოეთით ცაგერის და ამბროლაურის, ხოლო სამხრეთით ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტები. ადმინისტრაციული ერთეულის ფართობი შეადგენს 70 100 ჰა– ს, აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 29 208 ჰა უჭირავს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბუნებრივი სიმდიდრეა ტყე, რომელსაც უკავია 25 000 ჰა. მუნიციპალიტეტის რელიეფის განმსაზღვრელ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორს წარმოადგენს ფართო ოვალური ფორმის ჩაღრმავება ქვაბური მინერალური წყაროების გამოსვლით, რომელიც ყოველი მხრიდან შემოსაზღვრულია მთაგრეხილების შტოებით და მხოლოდ კოლხეთის დაბლობისაკენ არის გახსნილი. ქვაბულის გარშემო მდებარე ფერდობებს სხვადასხვა სიმაღლე და ექსპოზიცია აქვთ, რელიეფი ძირითადად დაბლობორცვიანია. მუნიციპალიტეტში ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა, ტერიტორიული ერთეულისათვის დამახასიათებელია მოკლე ზამთარი და ცხელი ზაფხული. ჰაერის ტემპერატურის მხრივ წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი თბილი კუთხეა საქართველოში. საშუალო წლიური ტემპერატურა 15 გრადუსია. ყველაზე ცხელი თვის, აგვისტოს, საშუალო ტემპერატურა +30 -ია. ყველაზე ცივი თვეების, იანვარ-თებერვლისა, კი - 5. საშუალო წლიური ტენიანობა 76 %-ია. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობაა 1420 მმ/წელიწადში. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლის რესურსებით, რომლის მთავარი არტერიაა მდინარე რიონი, შენაკადებით მდ. წყალტუბო და გუბისწყალი. რეგიონის ძირითადი მინერალური რესურსია წყალტუბოს ცნობილი სამკურნალო თერმული წყალი, რომელიც ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით უნიკალურია. მისი ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა რადიოაქტივობა.

მუნიციპალიტეტი პირობითად იყოფა მაღალ, შუა და დაბალ ზონებად. ზონირების მიხედვით არის მსგავსება და განსხვავებები.

**მაღალი ზონის** სოფლებში მცირეა გამასივებული სავარგულები, არ არის ინტენსიური წარმოების პირობები, ნაკლებად ხელმისაწვდომია სერვისები, მუშახელის რესურსიც დეფიციტურია, ტრანსპორტირების პრობლემაც მეტ-ნაკლებად არსებობს.

აქ ტრადიციულად განვითარებული იყო მევენახეობა, მეფრინველეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა და ასევე იყო საკალმახე მეურნეობები, მაგრამ დროთა განმავლობაში სოფლები დაიცალა მოსახლეობისგან და დღესდღეობით ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენს მევენახეობა და მეფუტკრეობა. გამომდინარე იქიდან, რომ მაღალია სოფლიდან მიგრაცია და რეალურად სოფელი დაცლილია, მოსახლეობისგან ვინც დარჩენილია მათ თავი გააქვთ თავიანთი მოყვანილი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, როგორცაა ხილი, სიმინდი, ლობიო.

მიწის ნაკვეთები ფრაგმენტირებულია. უმეტესწილად წარმოება შიდამეურნეობის სახეს ატარებს და საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული, თუმცა გვხვდება გარკვეული მიმართულებები, რომლებიც ახერხებენ პროდუქციის რეალიზებას - უმეტესად შიდა ბაზარზე, მაგ: მეფუტკრეობა, მევენახეობა, მეხილეობა. აქედან აღსანიშნავია

მეღვინეობის და მასთან დაკავშირებული აგრო/ღვინის ტურიზმის განვითარების პოტენციალი.

კარგი გეოგრაფიული და კლიმატური პირობები, ეკოლოგიურად სუფთა გარემო უდავოდ ხელშემწყობი პირობებია ადგილობრივი სოფლის მეურნეობისათვის. თუმცა თანამედროვე ტიპის სანარმოების, ტექნოლოგიების და სერვისების არქონა ქმნის პრობლემებს. აქვე აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ზედა ზონებში საფრთხეს ქმნის მენყერული მოვლენები, ნაპირების წარეცხვა (მდინარე რიონის შუა წელში და ქვედა ზონებში) და ძლიერი ქარი. ყველა ჩამოთვლილი მოვლენა ძირითადად საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ სახლებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას (გზებს და ხიდებს), სახნავ-სათეს და სათიბ-საძოვრებს. მენყერული მოვლენები და მასთან დაკავშირებული პრობლემები განხილული იქნება გარემოსდაცვით საკითხებში, ნამახვან ჰესის ნაწილში.

**დაბალი და შუა ზონის** სოფლებს, სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების სპეციფიკის მხრივ, ბევრი საერთო აქვთ. აღნიშნული სოფლების უმეტესი ნაწილისთვის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგია მემცენარეობა, სადაც მთავარ მიმართულებად შეიძლება გამოიყოს ხილ-ბოსტნეულის წარმოება ძირითადად სასათბურე მეურნეობებში, ასევე ხილისა და კენკრის წარმოება. გარდა ამისა, თითქმის ყველა სოფელში მეტნაკლებად განვითარებულია მესაქონლეობა (რძისა და ხორცის წარმოება), სახნავ-სათესი კულტურების კულტივირება, და შედარებით უფრო მცირე მასშტაბით – მეფუტკრეობა, მეთევზეობა და მევენახეობა.

ვინაიდან სხვადასხვა სოფლებში არსებული მეურნეობები განსხვავდებიან ზომითა და მოცულობით, ასევე ინფორმაციის არასრულად მოპოვების პირობებში, რთულია ზუსტად დადგინდეს, საშუალოდ რა რაოდენობის პროდუქცია იწარმოება თითოეული ზონის ფარგლებში.

### ტრადიციული დარგები

სოფლის მეურნეობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. გამოიყოფა სამი მიმართულება, ეს არის სათბურები, მეცხოველეობა და მარცვლეული კულტურების განვითარება.

სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგებია: მეხილეობა, მეცხოველეობა, მარცვლეულის დამზადება, მეფუტკრეობა, ბალჩეული და ბოსტნეული კულტურების წარმოება.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მოიცავს 29,2 ათას ჰექტარს, სახნავი ფართობი - 13 205 ჰექტარია.

ადმინისტრაციულ ერთეულში **მემცენარეობა** ფართოდაა გავრცელებული. პრიორიტეტული კულტურებიდან გავრცელებულია ბოსტნეული, ბალჩეული, სიმინდი, ვაზი და ხილი. ბოსტნეულის მოსავლიანობა 20ტ/ჰა-ია, ბალჩეულის კი 30-40ტ/ჰა, ეს კულტურები გავრცელებულია მუნიციპალიტეტის ქვედა ზონებში. სიმინდის მოსავლიანობა შეადგენს 3ტ/ჰა, ვაზისა კი 10ტ/ჰა-ია. მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ზონის ძირითადი პროდუქციის – მწვანე ხაჭაპურის – წარმოების მოცულობა შეადგენს საშუალოდ 3-7 ტონას წელიწადში, ხოლო მაქსიმალური წარმოება შესაძლოა ჰექტარზე 10 ტონაც იყოს. თითოეული სათბურის ზომა 500-1000 კვ. მ. (50-60 მ. სიგრძეში). ერთ სათბურში საშუალოდ დასაქმებულია 15-25 ადამიანი (როგორც ადგილობრივი, ისე სხვა მუნიციპალიტეტებში დაქირავებული მუშახელი). 1კვ. მწვანე ხაჭაპურის ფასი 1-2ლარი (საშუალო საბითუმო), მაქსიმალური 4 ლარი (ძალიან იშვიათად). კიტრის და პომიდვრის თვითღირებულებაა 30-40 თეთრი, ხოლო მისი საბითუმო ფასი შეადგენს 1 ლარს.

ბოსტნეულისა და ბალჩეულის მოსავლიანობის გაზრდა შესაძლებელია მემცენარეობის ხელშეწყობი ისეთი ღონისძიებებით, როგორცაა: მაღალპროდუქტიული სათესლე მასალების შემოტანა, სასუქების მოხმარების გაზრდა და რწყვის შესაძლებლობის გაზრდა.

მუნიციპალიტეტში **მეცხოველეობა** ფართოდაა გავრცელებული, თუმცა მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა უკანასკნელ დეკადაში შემცირდა. მეცხოველეობის ძირითადი მიმართულებაა რძისა და რძის პროდუქტების წარმოება. მეხორცეული ჯიშები არ არსებობს და შესაბამისად არც წარმოებაა განვითარებული. თუმცა ორივე მიმართულებას გააჩნია განვითარების რეალური პერსპექტივა. 2012 წლის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტში აღრიცხულია 35 000 სული მსხვილფეხა პირუტყვი. არ არის თანამედროვე ტიპის ფერმები. საქონელი ძირითადად შინამეურნეობის ნაწილია. მეცხოველეობის სექტორში დაბალი პროდუქტიულობა ძირითადად გამოწვეულია ცხოველთა ჯიშების ცუდი სტრუქტურით, რომლებიც კერძო მფლობელებს/შინამეურნეობებს ჰყავთ და რომლებიც პირუტყვის უდიდეს ნაწილს შეადგენს (გარდა ფრინველისა). ეს არაპროდუქტიული ჯიშები, რომლებიც ტრადიციულად უფასო საძოვრებზე იკვებებიან, მართვის გარეშე მიტოვებული სახელმწიფო და სათემო მიწებების გადაძოვას იწვევს. ახლომდებარე გადაძოვილი მიწებების ნაყოფიერება ვერ უზრუნველყოფს ხორცის ნამატის ან წველადობის ზრდისთვის საჭირო კვებას.

ვეტერინარულ მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემების გამწვავებას იწვევს ის, რომ ქართველი ფერმერები კარგად არ არიან გაცნობიერებულნი ცხოველთა დაავადებების საკითხში. უმრავლესობას ამ სფეროში განათლება არ აქვს; ასევე არა აქვთ საიმედო ინფორმაცია და არ იღებენ შესაბამის კონსულტაციებს. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ვეტერინარული ღონისძიებების პარალელურად ფუნქციონირებს იმერეთის ვეტერინართა რეგიონული ასოციაცია, რომელიც ახორციელებს როგორც საკონსულტაციო, ისე პრაქტიკულ ვეტმომსახურებას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ჰყავთ მეხორცეული ჯიშის ცხვარი. მათი რაოდენობა დაახლოებით 1 400 სულს შეადგენს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია **მევენახეობა**. დარგს აქვს დიდი პერსპექტივა, რადგან ტრადიციული ჯიშებით დაინტერესება იზრდება, ხოლო ადგილწარმოშობის პრინციპის დანერგვამ გააძლიერა სანარმოების კომერციული ინტერესი და მოთხოვნა. აგროტურიზმის და ზოგადად ტურიზმის სფეროს განვითარება ამ მიმართულებას კიდევ უფრო განავითარებს. ამის დასტურია უკვე არსებული ტრადიციული ტიპის მარნების მონახულებაზე გაზრდილი მოთხოვნა. ვაზის ადგილობრივი ჯიშების გაშენება საკმაოდ პერსპექტიულია ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რასაც ვანახის ფართობების ზრდის დინამიკაც ადასტურებს.

ტრადიციული დარგების კვლევისას გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები, კერძოდ - ზოგიერთი მიმართულების არარენტაბელურობა: მესიმინდობა, მესათბურეობა და მესაქონლეობა. მესიმინდობაში და მესათბურეობა გამოვლინდა, რომ ფერმერები არ იყენებენ ახალ - ჰიბრიდულ ჯიშებს და კომბინირებულ სასუქს. მესიმინდობაში იყენებენ მხოლოდ აზოტს, რაც მუშაობს მხოლოდ მწვანე მასაზე და არა ნაყოფზე. მესათბურეობაში იყენებენ პესტიციდებს გადაჭარბებული დოზით და მოსავალი გაჭერებულია ნიტრატებით. ზოგადად არის თანამედროვე ტექნოლოგიების არ ცოდნა. ფერმერების უმეტესობას აქვს მცირე ზომის სათბურები და ნაკვეთები მემწვანილეობისა და მებოსტნეობისთვის. ამას ემატება ის, რომ სათბურებში არ იყენებენ მწერების დამცავ ბადეებს და მწერების სანინააღმდეგოდ იყენებენ ჭარბი რაოდენობის პესტიციდებს. ასევე სათბურებში ვერ აკონტროლებენ ტენიანობას. მეცხოველეობაში დიდ პრობლემას წარმოადგენს დაბალპროდუქტიული ტრადიციული ჯიშების ახლონათესაური შეჯვარება და ხელოვნური



განაცოფიერების პრაქტიკის არარსებობა. მეცხოველეობაში არ ხდება პირუტყვის სემონური დამუშავება და კერძო ვაქცინაციის (ვეტ-მომსახურების) სრული დაცვა.

მუნიციპალიტეტში მელიორაცია ფაქტობრივად არ არსებობს. თემებში აღინიშნა საძოვრების სიმცირე, სასუქის მაღალი ფასი და სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთებთან დამაკავშირებელი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა (განსაკუთრებით, მაღალმთიანში), კვალიფიციური აგრონომების არარსებობა, ძლიერი ქარი, რომელიც ანადგურებს სათბურებს, მსხვილი გადამამუშავებელი (საკონსერვო) საწარმოს არარსებობა, უცხოურ ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენცია, პროდუქციის მალეფუჭადობა, ადგილობრივი მწარმოებლისთვის არახელსაყრელი რეგულაციების არსებობა, რაც ამცირებს პროდუქციის ხარისხს და შესაბამისად მის კონკურენტუნარიანობას.

ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემათა ძირეულ მოგვარებას კომპლექსური და პროფესიონალური მიდგომა სჭირდება, რომ დადგეს გრძელვადიანი და სტაბილური შედეგი.

### სერვისები (კონსულტაცია, მექანიზაცია, ტექნიკური დახმარება)

საკონსულტაციო მომსახურებას და ექსტენციას ფერმერი იღებს როგორც სახელმწიფო (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო), ასევე კერძო ფერმერთა მომსახურების ცენტრებში. პროფესიონალი აგრონომების დეფიციტის პირობებში ეს მეტად მნიშვნელოვანია.

ადგილობრივი მოსახლეობის, სოფლის განვითარების სააგენტოს მუნიციპალური წარმომადგენლობის და ექსპერტების ინფორმაციით, ფერმერთა უმრავლესობა მეურნეობას წინასწარი შერჩევის გარეშე მისდევს და მათ არასაკმარისი განათლება აქვთ, ან სულაც არა აქვთ განათლება სოფლის მეურნეობის სფეროში. სწორედ ამიტომ, მათ შეიძლება არც იცოდნენ, რა უპირატესობა აქვს ერთ პროდუქტს მეორესთან მიმართებაში. მაშინაც კი, როდესაც მათ ესმით, რომ მაღალხარისხიან პროდუქტს მოგების მოტანა შეუძლია, შეიძლება არ იცოდნენ როგორ გამოიყენონ მოცემული პროდუქტი მოგების უზრუნველსაყოფად. მაგალითად, ფერმერმა შეიძლება იცოდეს, რომ მას 'სასუქი' სჭირდება, მაგრამ შეიძლება არ იცოდეს რომელი სასუქი სჭირდება და როგორ გამოიყენოს ის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობაზე, განსაკუთრებით ტრადიციული და ახალი კულტურების (მაგ. კენკროვნები) პოპულარიზებაზე. აღნიშნული საკითხი არაერთხელ იყო წამოჭრილი ფერმერების მხრიდან.

რაც შეეხება **მექანიზაციას**: ფუნქციონირებს მექანიზაციის ცენტრი (სერვისები თავისი განუასებით შემდეგაირია - ხვნა ჩვეულებრივი 140 ლარი, 180 ლარი (დაუმუშავებელი ყამირი მიწის); დადისკვა სხვადასხვა ზომის დისკებით 70 დან 220 ლარამდე; დაფარცხვა 65 ლარი; თესვა 65 ლარი; სიმინდის აღება 190 ლარი, ჩოპერით 200 ლარი; სოიოს აღება 200 ლარი; ბაძონარმომქმნელი 150 ლარი; საპრესი 50 თეთრი 1 ტუკი; საცელი 65-70 ლარი).

მოთხოვნადია - როტაციული სათიბელა, მულჩერი, ბოსტნეულის სარგავი, სიმინდის ამღები მისაბმელები სარჩევებით. საჭიროა დამატებითი ტექნიკა, რადგან არსებული რესურსით მოთხოვნის ნახევარიც ვერ კმაყოფილდება. დიდი დრო მიაქვს ტექნიკის შეკეთებასაც. მაღალ მოთხოვნას განაპირობებს ფერმერთა მცირემიწიანობაც (0,25-0,5 ჰა).

### რესურსები

#### მიწის რესურსები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 700.1 კვ. კმ-ს. ადმინისტრაციულ ერთეულში სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 29 208 ჰექტარია, რაც საერთო ფართობის



დაახლოებით 42%-ია. აქედან 14 815 ჰა სახნავ-სათესია, რაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 51%-ია. ხილისა და მრავალწლიანი ნარგავების ბაღებს უჭირავს 2 355 ჰა (8%), სათიბ-საძოვარი კი შეადგენს 11 954 ჰა-ს (41%). მიწების შესახებ მონაცემები ეყრდნობა 2004 წლის ინვენტარიზაციის შედეგებს, რომლის შემდეგაც მიწის ინვენტარიზაცია არ განხორციელებულა.

როგორც სოფლის მეურნეობის, ისე სოფლის განვითარებაზე გავლენას ახდენს ისეთი სტრუქტურული საკითხები, როგორცაა რეგიონში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკლებობა, რთული რელიეფი, ოჯახების საკუთრებაში არსებული ძალიან დანაწევრებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, ასევე კერძო საკუთრებაში არსებული მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ბარიერები. ოჯახების მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწები ძირითადად მცირე ზომის ნაკვეთებითაა წარმოდგენილი და ამიტომ ვერ ხორციელდება სტრუქტურული ცვლილებები, რაც უზრუნველყოფდა წარმოების უფრო კონკურენტუნარიანი სისტემის არსებობას. ეს სტრუქტურული საკითხები მნიშვნელოვანი გამოწვევებია, რომელთა მოგვარება გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს უფრო დინამიური სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას და ხელს შეუწყობს მიწების გაერთიანებას, მიწით ვაჭრობის განვითარებას, საწარმოო ობიექტების გაფართოებას. იმ ადამიანებს, რომელთაც არ აქვთ სურვილი სოფლის მეურნეობით იყვნენ დაკავებული, ექნებათ შესაძლებლობა მიწის ვაჭრობით, ქირავნობით ან იჯარით იყვნენ დაკავებული.

აქვე აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ზედა ზონებში საფრთხეს ქმნის მენყერული მოვლენები, ნაპირების წარეცხვა (მდინარე რიონის შუა წელში და ქვედა ზონებში) და ძლიერი ქარი. ყველა ჩამოთვლილი მოვლენა ძირითადად საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ სახლებს, ინფრასტრუქტურას (გზებს და ხიდებს), სახნავ-სათესს და სათიბ-საძოვრებს.

მიწის არასათანადო გამოყენების გავლენით და კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული გარემოს ცვლილების შემცირების მიზნით, მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს რესურსების დაცვის პროგრამა, სადაც ყურადღება გამახვილდება ლანდშაფტის გამოყენების გაუმჯობესებაზე. ამ თვალსაზრისით, პრიორიტეტად განიხილება ის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ნიადაგის დაზიანების, მენყერული ზონებისა და ეროზიული პროცესების შემცირებისკენ. ციცაბო ფერდობზე მიწათსარგებლობის არასწორი პრაქტიკა ხელს უწყობს მცენარეული საფარის შემცირებას, ნიადაგის ეროზიას, წყლისა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაკარგვას, რაც გავლენას ახდენს ნიადაგის ნაყოფიერებასა და პროდუქტიულობაზე.

### ადამიანური რესურსები

2014 წლის მდგომარეობით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 56 883 კაცს შეადგენს. აქედან ქალაქში ცხოვრობს 19.8%. შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წილი – 66.3%, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 17.6%.<sup>3</sup> ადამიანურ რესურსს წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობა და დაქირავებული მუშახელი რეგიონის სხვა სოფლებიდან.

მუშახელის სიმცირესთან ერთად პრობლემას ქმნის დაბალი კვალიფიკაციის დონე. მუნიციპალიტეტს აქვს მემცენარეობისა და მებოსტნეობის (სასათბურე მეურნეობა), მეცხოველეობის (რძისა და ხორცის პროდუქტების), ნაწილობრივ მეხილეობის, მეთევზეობის, მეღვინეობის, მეფუტკრეობის, მემარცვლეობის და სხვა დარგების განვითარების პოტენციალი, მაგრამ არ ჰყავს ამ პოტენციალის ამთვისებელი და განმავითარებელი კადრი. ინტელექტუალური რესურსის გარეშე ამ დარგის განვითარების

<sup>3</sup> <https://www.geostat.ge/media/20679/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf>



შესაძლებლობა ძალიან დაბალია. ყოველივე ეს საჭიროებს ახალგაზრდა აგრარიკოსების აღზრდას. მუნიციპალიტეტის მაპროთეილებელი და პოტენციური სასოფლო სამეურნეო დარგების განვითარებისთვის აუცილებელია აგრარული მიმართულებით განათლების დონის ამაღლება პროფესიული სასწავლებლების განვითარების ხელშეწყობა.

საჭიროა მცირე ზომის და შინამეურნეობით დაკავებული ფერმერების ცნობიერების ამაღლება და ტექნიკური დახმარება თანამედროვე ტექნოლოგიების და წარმოების ორგანიზაციის, სტანდარტიზაციის, უსაფრთხოების მოთხოვნების, მარკეტინგის და მოსავლის აღების შემდგომი მენეჯმენტის, ასევე გარემოსდაცვითი მიმართულებით.

### **თანამედროვე ტიპის წარმოებები (რეალობა, პრობლემები - მარკეტინგი, რეალიზაცია, მოსავლის აღების შემდგომი მენეჯმენტი)**

ქალაქ წყალტუბოში, სოფელ ტყაჩირში, გეგუთსა და მალლაკში ფუნქციონირებს სამაცივრე მეურნეობები, სადაც ხდება საექსპორტო მწვანილის შენახვა- შეფუთვა.

შპს „ჭერბია“ სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სასათბურე მეურნეობა შექმნა, სადაც სხვადასხვა ჯიშის მწვანილი მოჰყავთ. პროექტის ჯამურმა ღირებულებამ 3,000,000 ლარი შეადგინა, აქედან 592,000 ლარი გრანტია, ხოლო 1,050,000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტი. აგრეთვე აქტიურად სარგებლობენ დონორთა მხარდაჭერით (მიღებული აქვთ გრანტი USAID – REAP პროგრამის ფარგლებში).

მწვანილის წარმოების სექტორში შპს „ჭერბია“ ქვეყანაში თანამედროვე სტანდარტების მქონე პირველი მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც მაღალი ხარისხის მწვანილის ექსპორტს ევროპის ბაზრებზე ახორციელებს. წარმოებაში დანერგილი ტექნოლოგიის საშუალებით გულდასმით ხდება მწვანილის შერჩევა, დახარისხება, პლასტიკის ყუთებში მოთავსება და მომხმარებელთან გადასაგზავნად მომზადება. შპს „ჭერბია“ პროდუქციის რეალიზაციას ძირითადად გერმანელი და ჰოლანდიელი საბითუმო მოვაჭრეების დისტრიბუციის ქსელით ახორციელებს.

კოოპერატივ „ჯანელიძეების“ კუთვნილი სათბურების საერთო ფართი 3 ჰა-ს შეადგენს. დახურულ გრუნტში ბოსტნეულს და სხვადასხვა სახის მწვანილს აწარმოებენ. პროდუქციის რეალიზაცია ადგილობრივ საბითუმო ბაზრებზე ხორციელდება. შპს „ჭერბიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, წარმოებული პროდუქცია ექსპორტზეც გადის. მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო პრიორიტეტებს შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერირების ხელშეწყობა უნიშვნელოვანესია. კოოპერაცია ხელს უწყობს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, ფერმერებისთვის მეტი შემოსავლის მიღებას და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდას, რაც იმპორტირებული პროდუქციის ადგილობრივით ჩანაცვლების უზრუნველყოფის წინაპირობაა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ჯანელიძეები“ არის კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა განვითარდეს წარმოება და საქართველო გახდეს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყნა. ასეთი ტიპის ორგანიზაციებშია გამოსავალი მცირე მენარმეებისა და მცირე სასათბურე მეურნეობებისათვის, თუკი ისინი ვერ ახერხებენ მარკეტინგისა და რეალიზაციის მდგრადი სისტემის შექმნას. აქვე აღსანიშნავია, რომ ფინანსური მხარდაჭერის პარალელურად ასეთი საწარმოების მეშვეობით უნდა მოხდეს თანამედროვე ტექნოლოგიების და სტანდარტების დანერგვა მცირე და შიდამეურნეობებში.

ბოსტნეულის მომხმარებელი არის როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე უცხოური მომხმარებელი (ძირითადად დსთ-ს და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები). მწვანილი ძირითადად გადის გარე ბაზარზე (80–90%), ხოლო შიდა ბაზარი შეადგენს (10–20%); კიტრის და პომიდორის მოსავლის 100% ადგილობრივი მომხმარებელია. სხვა პროდუქცია ძირითადად ადგილობრივ ბაზარს მოიცავს.

გადამყიდველები (კერძო პირები და კომპანიები), გადამამუშავებელი ქარხნები, კვების ობიექტები წარმოადგენენ ძირითად მომხმარებლებს.

მწვანილი გადის ძირითადად გარე ბაზარზე, საბითუმო სახით; ხოლო კიტრი და პომიდორი – შიდა ბაზარზე ასევე ძირითადად საბითუმო სახით.

დამხმარე სექტორებად შეიძლება ჩათვალოს კერძო სექტორი, გადამამუშავებელი ქარხნები, კვების ობიექტები და კომპანიები.

თითქმის ყველა სოფელში არსებობს უკვე არსებული დარგების განვითარების პოტენციალი, მაგრამ მატერიალური რესურსის უკმარისობის, საძოვრების სიმცირის და სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობის ან წარმოებული პროდუქციის უკიდურესად დაბალი რენტაბელურობის გამო ვერ ხერხდება მათი სრულყოფილად განვითარება.

### პოტენციალი

**სასათბურე კლასტერის** შექმნა მიზნად ისახავს სასათბურე სექტორის, როგორც დასავლეთ საქართველოს ტრადიციული საექსპორტო დარგის პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების სტიმულირების გზით შემოსავლების ზრდას და ახალ ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობას.

წყალტუბოში ახალი ტურისტული შესაძლებლობები ჩნდება. ამ გაზრდილ მოთხოვნას სჭირდება ხარისხიანი ადგილობრივი პროდუქციით მომარაგება.

**სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდა** შესაძლებელია მაპროფილებელი დარგების განვითარებით, ახალი ჯიშებისა და ტექნოლოგიების შემოღებით. ამ ამოცანის მისაღწევად საჭიროა შესაბამის განათლების და სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ალტერნატიული და დივერსიფიკირებული სასოფლო საწარმოების წახალისება და ღირებულებათა ჯაჭვის ყველა სუბიექტის ჰარმონიული განვითარება. დღესდღეობით მთავარი მიზანს წარმოადგენს **ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება**, სამუშაო ადგილების შექმნა, რისთვისაც უნდა შეიქმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა და პროდუქციის გადამამუშავებელი ქარხნა, უნდა გაუმჯობესდეს ტექნიკური აღჭურვილობა, რაც გამოიწვევს ადგილობრივი მოსახლეობის დაინტერესებას. ახალი კულტურების დანერგვის პროცესმა კიდევ უფრო უნდა გაამრავალფეროვნოს წარმოება და გარკვეულწილად წარმოჩნდეს ალტერნატივად მცირემნიშნანი ფერმერებისთვის.

**საკონსულტაციო და ტექნიკური სერვისების შემდგომი განვითარება და სრულყოფა** აუცილებელი პირობაა სოფლის მეურნეობის თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ. ეს ტვირთი თანაბრად ნაწილდება, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორზე. საინფორმაციო უზრუნველყოფა, აგროკონსულტაცია, თანამედროვე მეთოდების და მოთხოვნების გაცნობა, კლიმატკონივრული და ეკოლოგიური მეურნეობის საფუძვლების დანერგვა, მექანიზაციის სერვისის გაუმჯობესება და ტექნიკური დახმარება - განსაკუთრებით რეალიზაციის სფეროში (მოსავლის აღების შემდგომი მენეჯმენტი, მარკეტინგი, ბრენდირება, საფინანსო ბაზარზე ხელმისაწვდომობა) ეს ის ჩამონათვალია, რაც უნდა განხორციელდეს ადგილობრივ თემში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით უახლოეს პერიოდში. ამის განხორციელების შედეგად ძირითად სარგებელს მიიღებენ ადგილობრივი თემის წარმომადგენლები (მწარმოებლები და დასაქმებულები). ამ ღონისძიებების განხორციელება უნდა მოხდეს ადგილობრივი თემის წარმომადგენლების მიერ, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სასურველი შედეგის მიღებით.

### 2.3. განათლება და უნარების განვითარება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტში, რომელიც მომზადებულია 2019 – 2022 წლებისათვის ასახულია განვითარების ხედვა, რომელიც ეხება განათლებასაც: „*განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამენარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა ვახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყნის წარმატებულ მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს*“.

#### სკოლები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სულ 42 სკოლაა. აქედან ორმოცი საჯარო და ორი კერძო სკოლაა - „ოცნება“ და „სასულიერო გიმნაზია“; 30 - საშუალო და 12 - საბაზო საფეხურის. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში მოქმედებს 1 სამხატვრო და 1 სამუსიკო სკოლა. 2019 წლის მდგომარეობით მოსწავლეთა რაოდენობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით შეადგენს 5446 მოსწავლეს (წყარო: საგანმანათლებლო რესურსცენტრი. მუნიციპალიტეტის ინფორმაციით მოსწავლეთა რაოდენობა მეტია - 5800 მოსწავლე). ქალაქის ტერიტორიაზე მდებარეობს 6 სკოლა: ზემოხსენებული - 2 კერძო და 4 საჯარო. აღსანიშნავია, რომ ქალაქის სკოლებით სარგებლობენ ქალაქთან ახლომდებარე სოფლებიც. მექვეყნის საჯარო სკოლა მოსწავლის არარსებობის გამო დროებით არ ფუნქციონირებს. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით, სოფელ გეგუთში და სოფელ ჩუნეში დაწყებულია ახალი სკოლების მშენებლობა.

ბოლო წლების განმავლობაში შეინიშნება მოსწავლეთა რაოდენობის შესამჩნევი კლება, რაც უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია მოსახლეობის მუნიციპალიტეტიდან გადინებით. ქ. ქუთაისთან ახლოს მდებარე სკოლებს კონკურენციას უწევს ქუთაისის სკოლები. მშობლების გარკვეულ ნაწილს ურჩევნია ატაროს თავისი შვილი ქუთაისის სკოლაში. მათი თქმით, ინფრასტრუქტურა და სწავლების ხარისხი იქ შედარებით უკეთესია. თუმცა ნაწილობრივ მოსწავლეთა ქალაქში გადინება უკავშირდება მშობლების მობილობას - ქალაქთან დაკავშირებული საქმიანობის/სამსახურის გამო.

ზოგიერთ საჯარო სკოლაში მოქმედებს ხელსაქმისა და შემოქმედებითი წრეები. სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს N1 საჯარო სკოლაში პროფესიული უნარების განვითარების ფარგლებში ხორციელდება თექნის მხატვრული დამუშავება, სამთვლიანი მოკლე სასერტიფიკატო პროგრამა (უფასოდ). აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მის მიერ მომავრებული სათანადო დარგის სპეციალისტი. პროგრამას გადის 12 მოსწავლე, აქედან 9 სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს N1 საჯარო სკოლის, 1 სსიპ მამუკა სამაკაშვილის სახელობის ქალაქ წყალტუბოს N2 საჯარო სკოლის და 2 სსიპ გვიშტიბის საჯარო სკოლის მოსწავლეებია. პირველი სემესტრის მეცადინეობები დაიწყო ოქტომბერში და დამთავრდა დეკემბერში, ხოლო მეორე სემესტრის მეცადინეობები დაიწყება მარტიდან და გავრძელდება მაისის ჩათვლით. მსგავსი მიმართულებით, ოტია იოსელიანის საზოგადოების ინიცირებით ფუნქციონირებს საკვირაო სკოლა. თუმცა, აღნიშნულ სკოლას კავშირი არ აქვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებთან.

**ინფრასტრუქტურა** - მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული თითქმის ყველა სკოლა საჭიროებს ნაწილობრივ რეაბილიტაციას. მათ, შორის გადაუდებელი საჭიროებაა სოფელ გუმბრინის, სოფელ ყუმისთავის, სოფელ საყულის, სოფელ დერჩის საჯარო სკოლების



შენობების აღდგენა-შეკეთება. მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად იგეგმება და ნაწილობრივ რემონტდება მუნიციპალიტეტის სკოლები, შენობების სრული კეთილმოწყობა ჯერ კიდევ შორეულ პერსპექტივად რჩება.

სკოლის შენობების გათბობა მოწესრიგებულია: 28 მათგანი გასათბობად იყენებს შეშას, 8 - ბუნებრივ აირს, 2 - ქვანახშირს და 1 - ელექტროენერგიას.

**მატერიალურ ტექნიკური ბაზა** - დღეის მდგომარეობით, საჯარო სკოლების აღჭურვა შემოიფარგლება მოძველებული კომპიუტერული ტექნიკითა და საბჭოთა ეპოქის მემკვიდრეობით მიღებული ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიებით. შესაბამისად, განახლებას საჭიროებს კომპიუტერული ტექნიკის ბაზა, ზუსტი და საბუნებისმეტყველო დისციპლინების თანამედროვე ლაბორატორიები, ასევე პრაქტიკული მასალები და თვალსაჩინოებები. ბიბლიოთეკათა უმრავლესობა დიდი ხანია არ განახლებულა და საჭიროებს ახალი და თანამედროვე სახელმძღვანელოებით/საკითხავი მასალებით გამდიდრებას. სკოლებში სუსტია ინტერნეტთან წვდომის ხარისხიც. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისთვის აუცილებელია, სკოლებში თანამედროვე სპორტული დარბაზებისა და ღია სპორტული მოედნების მოწყობა, რომლებიც სწავლების პროცესში გამოიყენებენ თანამედროვე სპორტულ ინვენტარს.

**პერსონალი** - მუნიციპალიტეტის მასშტაბით არის 733 პედაგოგი აქედან, 204 პრაქტიკოსი; 452 უფროსი; 67 წამყვანი და 10 მენტორი. პედაგოგიური დეფიციტი შეინიშნება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი ზონის სკოლებში ( საჩხეური, დღნორისა და დერჩი). აღნიშნული სკოლები მოშორებულია ცენტრიდან დაახლოებით 80კმ-ით. ამასთან, თითოეული მათგანი მცირეკონტინგენტიანია და გამომდინარე აღნიშნულიდან სასწავლო დისციპლინებში (ბიოლოგია, ინგლისური, ქიმია და ფიზიკა) წარმოიქმნება კვალიფიციური კადრების დეფიციტი, რომლის აღმოსაფხვრელად სამინისტროს ყოველწლიურად სჭირდება დამატებითი ძალისხმევა.

მასწავლებელთა კვალიფიკაცია დამაკმაყოფილებელია, თუმცა სასურველია, რომ ის ამაღლდეს, რათა მიუახლოვდეს თანამედროვე სტანდარტებს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მოხდა მასწავლებელთა კორპუსის ნაწილობრივი განახლება – ხანდაზმული პედაგოგები ჩაანაცვლეს ახალგაზრდა კადრებმა, რამაც გარკვეულწილად აამაღლა სწავლების ხარისხი. ამას, თავის მხრივ, ხელი შეუწყო პედაგოგების ფინანსურმა მოტივაციამ.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით მხოლოდ 5 სკოლას ემსახურება ინდივიდუალური სკოლის ექიმი. საჭიროა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავდეს კვალიფიციური ფსიქოლოგი და მედიკოსი.

### საბავშვო ბაღები

წყალტუბოში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ რომლის დაქვემდებარებაშიცაა 23 ბაღი. აქედან 4 ბაღია ქალაქის ტერიტორიაზე. არის ერთი კერძო ბაღიც. ბაღები 100 %-ით მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბაღების რაოდენობა იზრდება (2015 წელს იყო 18 ბაღი). 2019 წლის ნოემბრის მონაცემებით, 2-იდან 6 წლამდე ბავშვების რაოდენობა 1850-ს შეადგენს. თითო ბავშვზე კვებისათვის გამოიყოფა 35 ლარი თვეში, ხოლო მომდევნო წლიდან ბიუჯეტით გათვალისწინებულია 40 ლარი.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ 385 თანამშრომელს აერთიანებს. თითოეულ ბაღს ემსახურება ერთი მედდა. ბაღები ძირითადად არის ძველ ადმინისტრაციულ შენობებში, მაგრამ აკმაყოფილებს ზოგად სტანდარტებს, აქვთ ცალკე

შესასვლელი, საკმარისი ოთახები, მონმდება სანიტარულად, სურსათის უვნებლობისა და წყლის სისუფთავის მხრივ.

საბავშვო ბაღები არის თითქმის ყველა სოფელში. გაერთიანების ხელმძღვანელობის თქმით, ყველგან სადაც მოთხოვნაა ბავშვებისთვის. არის შემთხვევები როდესაც მშობლები ითხოვენ ჯგუფების დამატებას და გაერთიანებას ითვალისწინებს მათ მოთხოვნებს. სამ სოფელში ქვითი, ხომული და ფარცხანაყანევში დაამატეს ჯგუფები. ქალაქ წყალტუბოს ტერიტორიაზე აშენდა 3 ახალი შენობა ბავშვებისთვის. 2022 წლისთვის ექსპლუატაციაში უნდა შევიდეს მასშტაბური სპორტის სასახლე. იგეგმება სრულიად ახალი სკოლამდელი დაწესებულების აშენება, რომელიც იქნება გათვლილი 6-8 ჯგუფზე, რაც მნიშვნელოვნად განტვირთავს უკვე არსებულ და გადატვირთულ საბავშვო ბაღებს. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ინფორმაციით რესურსიდან და მომართვიანობიდან გამომდინარე, აუცილებელია დამატებით ერთი ბავშვის აშენება ან მოწყობა. ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა ლტოლვილთა დანიის საბჭომ და ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე იძულებით გადაადგილებულთა დასახლებაში დაიგეგმა საბავშვო ბავშვის მშენებლობა. არსებული მდგომარეობით მიწის ნაკვეთი გამოყოფილია და უახლოეს პერიოდში დაიწყება საბავშვო ბავშვის მშენებლობა.

ქვემოთ მოყვანილია წინადადებები, რომლებიც წარმოადგინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბავშვის გაერთიანებამ“. აქ ასახულია ის მოთხოვნები და საჭიროებები, რაც აუცილებელია სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მაღალი დონით წარმართვისა და სკოლამდელი განათლების მაქსიმალურად ეფექტურად მიწოდებისთვის:

- წყალტუბოში არის ბავშვთა გასართობი კეთილმოწყობილი ეზოების ნაკლებობა, სადაც ბავშვები შეძლებენ თამაშს და სუფთა ჰაერზე გასიარებას. აუცილებელია სტანდარტების შესაბამისად საბავშვო ბავშვის ეზოების და ფიზიკური გარემოს მოწყობა, რაც ითვალისწინებს: სპორტული მოედნების მოწყობას, ტერიტორიის მოასფალტებას, დახაზვას და მწვანე საფარით ეზოების შევსებას. ასევე, ისეთი საჭირო აქსესუარებით მოწყობას როგორცაა ასაკობრივად გათვლილი ეზოს სათამაშოები, საჩრდილობლები, ქვიშის ყუთები და სხვა;
- აუცილებელია გაკონტროლდეს ეკოლოგიურად სუფთა სამშენებლო მასალის და ინვენტარის გამოყენება. ასევე თანამედროვე ტიპის ავეჯით აღჭურვა, როგორცაა კარადები, ასაკობრივად განსაზღვრული მაგიდები და სკამები;
- სოფლის იმ საბავშვო ბავშვისათვის, სადაც ბავშვები განთავსებულია არატიპურ შენობებში და არ არის საკმარისი ფართი ოთახებში საჭიროა ორსართულიანი სანოლებით უზრუნველყოფა;
- აუცილებელია ყველა საბავშვო ბავშვის აღჭურვა სპორტული ინვენტარით: რგოლები, კეგლები, ბურთები, კალათბურთის ფარები, შვედური კიბეები, სატანვარჯიშო სკამები, სავარჯიშო ლეიბები;
- აუცილებელია ყველა საბავშვო ბავშვის ასაკობრივად განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა, როგორცაა ფაზლები, ლოტოები, მათემატიკური მანიპულაციებისათვის განსაზღვრული მასალა, სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოებები და სხვა;
- აუცილებელია ყველა საბავშვო ბავშვი სათანადო მუსიკის დარბაზის მოწყობა და მუსიკალური ინვენტარით აღჭურვა. გასათვალისწინებელია სხვადასხვა ტიპის მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა ბავშვის ასაკის შესაბამისად, მაგალითად სათამაშო დაირები, ჩხარუნები, ქართული ხალხური საკრავების ნაკრები, თვალსაჩინოებები და სხვა;



- აუცილებელია ყველა საბავშვო ბაღში სათამაშო ცენტრებისთვის ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოების შექმნა: თოჯინები, მანქანები, სამზარეულოსა და სამედიცინო სათამაშო ნაკრები და სხვა.

### **მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი**

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის“ ფარგლებში არსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 14 დასახელების შემოქმედებითი, საგნობრივი და სპორტული წრე, სადაც 6–დან 18 წლამდე 289 მოსწავლე იღებს არაფორმალურ განათლებას. ცენტრის მიზანია, ჯანსაღი და განათლებული მომავალი თაობის აღზრდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობით, სხვადასხვა წრეებში უფრო მეტი ბავშვის ჩართულობით, ბავშვთა პოტენციალის დანახვით და მათი სწორი მიმართულებით წარმართვით.

ყველაზე მოთხოვნად წრეებად შეიძლება ჩაითვალოს ქორეოგრაფიის წრე (ბალეტი), ვოკალური წრე, ასევე სპორტული წრე (ტაეკვონდო, ჭადრაკი), ხელმარჯვეთა წრე (ხელსაქმე). თითოეულ წრეში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება 14–დან (ნახევარი განაკვეთი) 28 მოსწავლემდე (სრული განაკვეთი). დაწესებულება ფუნქციონირებს ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით. დაწესებულებაში დასაქმებულია 14 მასწავლებელი, მენეჯერი და მისი მოადგილე. მასწავლებლების კვალიფიკაცია დამაკმაყოფილებელია, თუმცა სასურველია მათი კვალიფიკაციის ამაღლება. თითოეულ წრეში მეცადინეობის ღირებულება შეადგენს თვეში 5 ლარს.

დაწესებულებაში ხშირად ტარდება საქალაქო მნიშვნელობის სხვადასხვა ღონისძიება – საახალწლო, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ასევე ხდება გასვლით ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება – მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ფესტივალებში, სპორტულ შეჯიბრებებში, ხოლო საგნობრივი წრეების წარმომადგენლები მონაწილეობენ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში.

2012 წლიდან ორგანიზაციაში ოპტიმიზაციის განხორციელებამ გამოიწვია მოსწავლეთა რაოდენობის მცირედი კლება (დაახლოებით 50 მოსწავლით). გარდა ამისა, საჯარო სკოლების მიერ ანალოგიური წრეების გახსნის უფლების მოპოვების პირობებში შეიქმნა ერთგვარი კონკურენცია და კონტინგენტის მოზიდვის პრობლემა. თუმცა, ძირითად გამოწვევად მაინც რჩება ფინანსური სახსრების სიმწირე, რის გამოც ვერ ხერხდება ბავშვთა გასვლების ორგანიზება ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ; ვერ ხერხდება ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება (მათ შორის, ახალი კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა). ცენტრს აქვს პოტენციური გამოავლინოს და დაამატოს სხვა მიმართულებებიც, რომელიც მიმზიდველი იქნება ბავშვებისთვის და ცენტრს გახდის მეტად კონკურენტუნარიანს. ცენტრის ხელმძღვანელობის ცნობით, სოციალურად დაუცველი/მონყველადი ოჯახების წარმომადგენლებს შეზღუდული აქვთ წვდომა ცენტრის მომსახურებასთან იმ მინიმალური ფინანსური სახსრების არარსებობის გამო, რაც საჭიროა სწავლის ყოველთვიური გადასახადისა და ტრანსპორტირებისთვის.

### **პროფესიული ორიენტაცია**

საშუალო სკოლადამთავრებულთა დიდი უმეტესობა, დაახლოებით - 60 %, სწავლის გაგრძელებას გეგმავს და ცდილობს ჩააბაროს უმაღლეს სასწავლებელში. დაახლოებით 20% აბარებს პროფესიულ სასწავლებელში. სკოლადამთავრებულების დარჩენილი 20% რჩება პროფესიული ან/და უმაღლესი განათლების მიღება.

წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინფორმაციით, 2017–2018 წლებში, „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში“ ჩატარდა

მოსწავლეთა უნარებისა და შესაძლებლობების კვლევა (გამოყენებული იყო ჰოლანდიის თვითსაკვლევი) და განხორციელდა მე-9 და მე-11 კლასელ მოსწავლეთა ინდივიდუალური გამოკითხვა. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი ირჩევდა და ღღესაც ირჩევს ე.წ. მოდურ - (იურისტი, ეკონომისტი) სტერეოტიპულ (ექიმი, პედაგოგი, თარმაცვეტი) მაღალანაზღაურებად (სურთ გახდნენ ბიზნესმენები, ადვოკატები (იურისტი, ეკონომისტი) პროფესიებს. რეალურად, რეგიონში არსებულ შრომის ბაზარზე მოთხოვნა სულ სხვა პროფესიებზეა. ამჟამად, ამ დარგის სპეციალისტები ხშირ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებენ შესაბამის სტანდარტებს და მათი რაოდენობაც არ არის საკმარისი. ასევე საჭიროა ტურისტულ სფეროში მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება. გარდა ამისა, მწვავე დეფიციტი შეიმჩნევა სოფლის მეურნეობის შესაბამისი დარგების სპეციალისტებში. ყველაზე მოთხოვნად პროფესიებად შეიძლება დასახელდეს აგრარული მიმართულების ყველა სპეციალისტი, აგრონომი, ვეტერინარი, მებაღე, ლანდშაპტის დიზაინერი, მასაჟისტი, ბალნეოლოგიის სფეროს სხვადასხვა სპეციალისტი, ექთნის თანამშემნე (მომვლელი), მზარეული, სარესტორნო და სასტუმრო საქმის მწარმოებელი და სხვა.

2020 წელს იგეგმება მრავალპროფილიანი პროფესიული სასწავლებლის გახსნა, რომელიც ძირითადად მოამზადებს სპეციალისტებს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის დარგებისთვის.

### შეჯამება

განათლებისა და უნარების განვითარების მიზნით მთავარია განათლების ხარისხის ამაღლება, თანამედროვე ცოდნის მიწოდება და ნიჭიერი ახალგაზრდების პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება. მთავარ გამოწვევად რჩება ფინანსური სახსრების სიმწირე და მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა.

უნდა შეიქმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა განათლების, კულტურისა და ხელოვნების სახლები და სპორტული დარბაზები. მოხდეს არსებული ობიექტების სრული რეაბილიტაცია. ეს უნდა განხორციელდეს ადგილობრივ თემში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით უახლოეს პერიოდში. ხოლო ძირითად ბენეფიციარებად ჩაითვლებიან ადგილობრივი თემის წარმომადგენლები - ბავშვები და ახალგაზრდები. ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფენ ადგილობრივი თემის წარმომადგენლები - დაინტერესებული პირები, ხოლო მხარდამჭერები იქნებიან ცენტრალური ხელისუფლება, ადგილობრივი თვითმმართველობის და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

გასულ წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის კომისიის თავჯდომარის ხელმძღვანელობით შემუშავდა კულტურის განვითარების სამწლიანი პროგრამა, რომლის განხორციელების შემთხვევაში უნდა მოხდეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების სრული რეაბილიტაცია. ამ გეგმის სისრულეში მოყვანას ესაჭიროება დაახლოებით 4 მილიონი ლარი. ამ პროცესში ადგილობრივი ბიუჯეტის გარდა, სახსრების მოზიდვა უნდა მოხდეს რეგიონალური განვითარების ფონდიდან, ასევე მიმდინარეობს დაფინანსების სხვა წყაროების მოძიება.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა მოტივაცია გაიზარდა, კონტინგენტი გაახალგაზრდავდა, მათი კვალიფიკაცია შედარებით ამაღლდა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი პედაგოგების კვალიფიკაციისა და სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით. არსებობს სხვადასხვა დარგის კვალიფიციურებული სპეციალისტების ნაკლებობა, სკოლაში სწავლების არასთანადო პროგრამების და სახელმძღვანელოების არსებობა. რეპეტიტორთა

ინსტიტუტი განაგრძობს გაძლიერებას, რაც აკნინებს განათლების მიღებაში სასკოლო გაკვეთილების როლს. სოფლად უმეტესწილად გაუმართავი ინფრასტრუქტურა.

მუნიციპალიტეტის დაბალ და შუა ზონის თითქმის ყველა სოფელში მოქმედებს სულ მცირე ერთი საბავშვო ბაღი და ერთი საჯარო სკოლა. სოფლების უმეტეს ნაწილში არის ბიბლიოთეკა. ზოგიერთ სოფელში ფუნქციონირებს კულტურის სახლი, თუმცა სოფლების უმრავლესობა მოკლებულია ამ შესაძლებლობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო.

მაღალი ზონის სოფელში უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა დემოგრაფიული კუთხით. რელურად არაფერ არ რჩება სოფელში, რაც დიდ საფრთხეს უქმნის სოფლებს. დღითიდღე მატულობს მიგრანტების რიცხვი სოფლებიდან. ეს აისახება სოფლებში არსებულ განათლებისა თუ სხვა სფეროებზე. სოფელ დერჩსა და მექვენაში საშუალო სკოლაში არის სულ 10 მოსწავლე. 4 წლის მანძილზე არ ყოლიათ პირველკლასელი. ჰყავთ 13 პედაგოგი. ამჟამად ამ სკოლაში სწავლა იწყება მე-5 კლასიდან. შედეგად კი დაცლილ სოფლებს ვიღებთ. სოფელ დღნორისის საშუალო სკოლაში არის სულ 22 მოსწავლე. მომავალ წელს სკოლის პედაგოგების თქმით მათ არ ეყოლებათ მე-10 კლასი. ამჟამად ჰყავთ 4 პირველკლასელი, სოფელი დაცლილია ახალგაზრდებისგან. სკოლა მოუვლელია. არ არის გათბობა. სასწავლო პირობები არასახარბიელოა. არ არის საბავშვო ბაღი, სპორტული მოედანი და გასართობი ადგილი.

სპორტული ინფრასტრუქტურა ძირითადად წარმოდგენილია ძველი სტადიონებით და შენობა-ნაგებობებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მოითხოვენ რეკონსტრუქციას და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვას. აქედან გამომდინარე, სოფლებში სრულყოფილად ვერ ტარდება სპორტული ღონისძიებები. ქალაქში განახლდა სტადიონი, გარე მოედნები, სპორტის სხვადასხვა სახეობის სექციები. ქალაქის ბევრ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონესრიგდა ინფრასტრუქტურა. მუნიციპალიტეტში ხშირია კულტურული და სპორტული ღონისძიებები. აქტივობების ორგანიზებაზე მოთხოვნები და სხვადასახვა იდეები მრავლადაა. ყოველწლიურად ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტი ითვალისწინებს ფინანსური რესურსების ალოკაციას სხვადასხვა პროექტებში, თუმცა მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსების თემის დონეზე სწორი გადანაწილება.

მუნიციპალურ დონეზე აუცილებელია პროფორიენტაციის მიმართულების გაძლიერება და თვითსაკვლევო მექანიზმის აქტიური გამოყენება/პოპულარიზება. მუნიციპალიტეტში არ არის პროფესიული სასწავლებელი, თუმცა იგეგმება მრავალპროფილიანი პროფესიული სასწავლებლის გახსნა. მუნიციპალიტეტს აქვს უპირატესობა იმ მხრივ, რომ ქუთაისთან ახლოსაა, სადაც არის როგორც პროფესიული, ისე უმაღლესი სასწავლებლები. თითქმის ყველა სოფელში შესაძლებელია ხელსაქმის სხვადასხვა დარგის განვითარება, მაგალითად ქსოვა, ქარგვა, დეკორატიული და საიუველირო საქმე და ა.შ. არსებობენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები და მოიძებნება შენობა-ნაგებობებიც, რომლებიც რიგ შემთხვევაში საჭიროებენ კაპიტალურ რემონტს და მატერიალურ ტექნიკურ აღჭურვას. აუცილებელია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა და მისი შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადება-გადამზადების ხელშეწყობა და წახალისება ადგილობრივ დონეზე.

## 2.4. სოციალური დაცვის სისტემა და მონყვლადი ჯგუფების მდგომარეობა

### სოციალური მომსახურების სააგენტო

სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის ნოემბრის მონაცემებით მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 57 100 ადამიანი. გარდა ადგილობრივი მოსახლეობისა, წყალტუბოში მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობენ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული

პირები - დევნილები, რომელთა რაოდენობა ბოლო მონაცემებით შეადგენს 4 670. მათი ნაწილი უკვე დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართებით, ხოლო მეორე ნაწილი ჯერ კიდევ ელოდება დაკმაყოფილებას.

2019 წლის ნოემბრის მონაცემებით პენსიის პაკეტის მიმღებთა რაოდენობა შეადგენდა 12 104 პირს, მათ შორის დაახლოებით 70% ქალია.

სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა 3 033 ადამიანს შეადგენს, აქედან 81.5% შპმ პირია. დევნილის სტატუსის მქონე პენსიის მიმღებთა რაოდენობა შეადგენდა 939 პირს. დევნილის სტატუსის მქონე სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა 393 პირს შეადგენს, აქედან 82% შპმ პირია.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე, სახელმწიფო პენსიის დანამატის მიმღებ პირთა რაოდენობა შეადგენდა 316 პირს. მაღალმთიან რეგიონში სოციალური პაკეტის დანამატის მიმღებ პირთა რაოდენობა შეადგენს 56 პირს.

კომპენსაციისა და სტიპენდიის მიმღებთა რაოდენობა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიხედვით შეადგენს 290 პირს. სახელმწიფო სუბსიდიის მიმღებთა რაოდენობა შეადგენს 329 პირს.

მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ დარეგისტრირებულთა რაოდენობამ 2019 წლის ნოემბრის მონაცემებით შეადგენა 4 949 ოჯახი (13 493 პირი), ხოლო საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობამ 1 499 ოჯახს (5 137 პირი). რეალურად საარსებო შემწეობის მიმღებად დარეგისტრირებულთა 70%-ს არ მიუღია შემწეობა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რეგისტრირებულთა პროცენტული წილი მუნიციპალიტეტის მთელ მოსახლეობასთან შეადგენს 23.6%-ს<sup>4</sup>.

ფულადი სახით გაცემული მიზნობრივი სოციალური დახმარება - საარსებო შემწეობა, რომლის მიზანია ღატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სიღატაკის დონის შემცირება ან/და მისი პრევენცია გაიცა 1 499 ოჯახზე (5 137 პირი).

ელექტროენერჯის გაზრდილი ტარიფის შედეგად ელექტროენერჯის სუბსიდიის მოპოვებელი უფლებების მქონე ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენს 1 309 ოჯახს ხოლო ელექტროენერჯის სუბსიდიის მიმღებ რეალურ ბენეფიციართა რაოდენობა 1 214 ოჯახს.

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაში საანგარიშო 2019 წლის ნოემბრის თვეში დარეგისტრირებული პირების რაოდენობამ 351 ადამიანი შეადგინა.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები/დასაქმებული/დაკონტრაქტებული დანამატის მიმღები ექიმებისა და ექთნების რაოდენობა შეადგენს 2 ექიმს და 2 ექთანს. დახმარების მიმღები, "მესამე და შემდეგი" ბავშვის მცოლი ოჯახების რაოდენობა შეადგენს 207-ს. ხოლო "მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირველი, მეორე, მესამე და შემდეგი" ბავშვის მცოლი დახმარების მიმღები ოჯახების რაოდენობა მხოლოდ ერთია.

### მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სხვადასხვა სოციალური პროგრამები:

- დღევრძელ პირთა (100 და მეტი წლის ასაკის) მატერიალური დახმარება (1000 ლარი);

<sup>4</sup> აღნიშნული მონაცემი ეფუძნება 2014 წლის 5 ნოემბრის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის წინასწარ შედეგსა და 2014 წლის ბოლო 2 თვის საერთო მატების (ბუნებრივ მატებას + მიგრაციული სალდო) ჯამს.



- ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (ერთჯერადი ფულადი დახმარება 200-დან 1000 ლარამდე კატეგორიების მიხედვით);
- მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯები (250 ლარი);
- მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება (150-დან 1800 ლარამდე კატეგორიების მიხედვით);
- მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება (პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს 1000 ლარისა);
- სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ რეგისტრირებულ მოქალაქეთა დახმარება (არაუმეტეს 2000 ლარისა).

ბოლო სამი წლის განმავლობაში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებზე დახარჯული თანხები შემდეგნაირად გამოიყურება:

2017 წლის ფაქტიური	2018 წლის ფაქტიური	2019 წლის გეგმა
1 235 200 ლარი - მთლიანი ბიუჯეტის 7.6% (16 176 200 ლარი)	1 321 500 ლარი - მთლიანი ბიუჯეტის 8% (16 360 700 ლარი)	1 388 800 ლარი - მთლიანი ბიუჯეტის 7.3% (19 015 400 ლარი)

### საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობას და დაავადებების პრევენციას ახორციელებს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“. მის შემადგენლობაში შედის 17 სამედიცინო ამბულატორია, რომელსაც ემსახურება 32 ექიმი და 32 ექთანი. ჯანდაცვის ცენტრის კომპეტენციაში შედის: ეპიდვლევების განხორციელება და მონაცემების შეგროვება; ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა; საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა, რეკომენდაციის მიწოდება; ანტირაბიულ კაბინეტზე მეთვალყურეობა და სისტემური მონიტორინგი; ვაქცინაცია და იმუნიზაცია; მალარიის პროფილაქტიკა და ზედამხედველობა; განსაკუთრებით საშიში ინფექციების პრევენცია და სხვა. მაღალმთიან სოფლებში პარასკევს, შაბათს და კვირას არიან ექიმები მექვენაში, დღნორისაში, ჭაშლეთში და დერჩში.

### წყალტუბოს რაიონული საავადმყოფო

შპს „წყალტუბოს რაიონული საავადმყოფო“ მულტიფუნქციური სამედიცინო დაწესებულებაა, სადაც გაერთიანებულია: წყალტუბოს რაიონული საავადმყოფო, სამშობიარო სახლი, ამბულატორია და ტუბდისპანსერი. კლინიკის აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. საავადმყოფო ლიცენზირებულია შემდეგ მიმართულებებში: საოჯახო მედიცინა, ენდოკრინოლოგია, პედიატრია, ნევროლოგია, ოფთალმოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, კარდიოლოგია, ქირურგია, გინეკოლოგია, ნეონატოლოგია და ფთიზიატრია.

კლინიკას დღეში საშუალოდ 130-მდე პაციენტი მიმართავს. სახელმწიფო დაზღვევით შეიძლება მიმართოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა მოქალაქემ, შემდეგი მომსახურების მისაღებად: ოჯახის ექიმი, ლაბორატორიული გამოკვლევები, პროფილაქტიკური აცრები, ინკურაბელური და შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა მეთვალყურეობა, ფთიზიატრიული, ფსიქიატრიული, ენდოკრინული პაციენტების

გამოვლენა და რეფერარი სპეციალურ დანესებულებებში, გადაუღებელი სამედიცინო დახმარება.

### ინკლუზიური ცენტრი

2015 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ბავშვთა პირველი ინკლუზიური ცენტრი გაიხსნა (ა(ა)იპ-ის სტატუსით), რომლის მიზანია შშმ ბავშვების დახმარება, რეაბილიტაცია/აბილიტაცია, ყოფითი და აკადემიური ჩვევების გამომუშავება და მათი საზოგადოებაში ინტეგრირება. ცენტრს წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სრულად აფინანსებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ბენეფიციარი შეიძლება იყოს ქ. წყალტუბოდან და ქალაქიდან 15-20 კმ დაშორებული სოფლებიდან. ინკლუზიურ ცენტრში მოხვედრა შესაძლებელია მშობელთა განცხადების საფუძველზე.

ამ დროისთვის ცენტრს ჰყავს 14 ბენეფიციარი. 2019 წლის ბოლოსთვის ელოდებიან დამატებით ერთ ბენეფიციარს. სულ შეუძლიათ 15 ბენეფიციარს მოემსახურონ. ცენტრში 7 დან 18 წლის ჩათვლით ასაკის ბენეფიციარები დღეში ექვს საათს ატარებენ. ისინი უზრუნველყოფილნი არიან ორჯერადი კვებით (თითო ბენეფიციარზე გამოყოფილია დღიურად 2.50 ლარი), ტრანსპორტირებით (რომელიც ცენტრის საკუთრებაა), ფსიქოლოგის, მეტყველების სპეციალისტის და სოციალური მუშაკის მომსახურებით. ბენეფიციარები არიან აუტისტური სპექტრის, დაუნის სინდრომის მქონე ცერემბლარული დამბლის მქონე, ეპილეფსიით და გონებრივი ჩამორჩენის მქონე პირები.

ცენტრს ემსახურება 17 თანამშრომელი. ცენტრის შენობა არის 209 კვ.მ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს უზურფრუქტის წესით უვადოთ აქვს გადაცემული. ინკლუზიურ ცენტრში ჰყავთ ერთი სამარშუტო ტაქსი, რომელიც ემსახურება ბენეფიციარებს.

მომსახურების უფრო ეფექტურად განხორციელებისთვის საჭიროა სერვისის გაფართოება. ცენტრს სჭირდება მეტი ფართი, რათა უფრო მეტ ბენეფიციარს მოემსახუროს. ყველაზე მთავარი პრობლემა არის ის, რომ შშმ პირები რომლებიც 18 წლის ხდებიან ვეღარ სარგებლობენ ამ სერვისებით და იკეტებიან თავიანთ თავში. არის სუიციდის მცდელობებიც. საჭიროა ინდივიდუალური პროგრამების შეიმუშავება და შრომითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ზრუნვა. საჭიროა სპორტული მოედნის მონყობა, რომელიც ადაპტირებული იქნება სხვადასხვა შშმ პირის ფიზიკური შესაძლებლობების მიხედვით. ასევე საჭიროა სენსორული ოთახებისთვის სენსორული ლეიბების შექმნა. გარდა ამისა, აუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოების შექმნა. სოფლებში არიან შშმ პირები, რომლებიც ვერ იღებენ ამ სერვისს. შესაბამისად, საჭიროა ფილიალების დამატება სოფლებში, რომელთაც არ მიუწვდებათ ხელი ამ ინკლუზიური ცენტრის მომსახურებაზე.

### ა(ა)იპ „სათნოების სახლი“

დანესებულებამ მუშაობა დაიწყო 2012 წელს. ის ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის მიერ და მოიცავს 190 ბენეფიციარს (აგრეთვე 10 ბენეფიციარი ირიცხება დამატებით სიაში). მათი შერჩევა ხდება სპეციალური კომისიის მიერ, რომელიც არჩევს ბენეფიციარებს ქულათა რაოდენობის მიხედვით. გარდა ამისა, ბენეფიციარის შერჩევა შეიძლება მოხდეს პირადი განცხადების საფუძველზეც. მომსახურება ხდება ყოველდღიურად. მიმდინარე წელს, ერთ ბენეფიციარზე დღიური ბიუჯეტი შეადგენს 1,67 ლარს. ბენეფიციარი შეიძლება იყოს წყალტუბოს რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ნებისმიერი ასაკისა და სოციალური კატეგორიის წარმომადგენელი, ოჯახის წევრთა რაოდენობა ასევე არ არის შეზღუდული. საკუთრივ შენობაში დაახლოებით 50 ადგილია. ხშირ შემთხვევაში ბენეფიციართა ოჯახიდან დანესებულებაში მოდის ერთ-ერთი წევრი და

თან მიაქვს საკვები ოჯახის სხვა წევრებისათვის. ადგილზე იკვებება ბენეფიციართა მაქსიმუმ 50%.

დანესებულებაში დასაქმებულია 8 ადამიანი – მმართველი, მოადგილე, ბუღალტერი, საქმეთა მმართველი, მზარეული, მზარეულის თანაშემწე, მრეცხავი და დამლაგებელი. აგრეთვე არსებობს პირველადი აუცილებლობის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა.

სათნოების სახლის მთავარი მიზანია საკვებით დაკმაყოფილდეს ყველა შეჭირვებული ადამიანი. დაფინანსება ხორციელდება მხოლოდ ერთი წყაროდან (მუნიციპალური ბიუჯეტი). ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები საფასვრით საკმარისია ყველა ბენეფიციარის დასაკმაყოფილებლად. საკვების ხარისხი დამაკმაყოფილებელია და ინფრასტრუქტურაც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

მომსახურების უფრო ეფექტურად განხორციელებისთვის საჭიროა სერვისის გაფართოება. საჭიროა ერთი მზარეულის დამატება. აუცილებელია შინმშობლის პროგრამის შეთავაზება, რაც ითვალისწინებს საკვების შინ მიტანას და სარეცხის გარეცხვას იმ ბენეფიციართათვის - ყველაზე უმწეო ადამიანებისთვის, რომელთაც უჭირთ დამოუკიდებლად გადაადგილება. ამისათვის საჭიროა რამოდენიმე ავტომობილის, შესაბამისი პერსონალის და მის მომსახურებაზე ხარჯების დამატება.

### შეჯამება

სოციალურ და ჯანდაცვის დარგში მომუშავე პროფესიონალების მიერ დანახული სექტორში არსებული ვითარება და პრობლემები, მათი მოგვარების გზების აღმოჩენის პროფესიონალური ხელდა შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად: ი მუნიციპალიტეტის მთავარ გამონწვევას წარმოადგენს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რისთვისაც აუცილებელია უფრო მეტი სამუშაო ადგილის შექმნა და მიგრაციის შემცირება, ჯანდაცვის სფეროში მომსახურების ხარისხის ამაღლება, სოციალური საწარმოების ჩამოყალიბება, პენსიონერთა მომსახურების გაუმჯობესება და სოციალური პროგრამებისთვის გრძელვადიანი ხასიათის მიცემა.

უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს მუნიციპალიტეტში არსებული ცენტრალური და ადგილობრივი სოციალური პროგრამების სიმრავლე. აღსანიშნავია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც მოიცავს სოციალურად დაუცველებს, პენსიონერებს, 0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებს, პედაგოგებს, სტუდენტებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, შშმ პირებს, მათი მკურნალობის და მედიკამენტების დაფინანსების ხარჯებს. აგრეთვე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან დაფინანსებული ჯანდაცვის პროექტები, დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ერთჯერადი დახმარების გაცემას (150-დან 200 ლარამდე კატეგორიების მიხედვით). ეს პროგრამები მოიცავენ თითქმის ყველა მონაცვლად ჯგუფს, რომელიც მოითხოვს დახმარებას. მიუხედავად ამისა სოციალური პროგრამების განხორციელებისთვის არსებული რესურსები მაინც არასაკმარისია. ამასთან ერთად, არსებული პროგრამების უმეტესი ნაწილის ერთჯერადი ხასიათისაა, რაც საფრთხეს უქმნის მათ მდგრადობას. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას შშმ პირების შესაძლებლობების განვითარებისა და მოსახლეობაში მათ ინტეგრირების მიმართულებით.

მუნიციპალიტეტში არსებობს ეკონომიკის განვითარებისთვის პერსპექტიული მიმართულებები ტურიზმში, სოფლის მეურნეობასა და ენერჯეტიკაში. ყველა სოფელი გამოირჩევა თვითდასაქმებით (ძირითადად სოფლის მეურნეობაში), ასევე არსებობს რამდენიმე საწარმო, რომელიც (იშვიათი გამონაკლისის გარდა) უკავშირდება სოფლის მეურნეობას. ადგილზე დასაქმებულთა და უმუშევართა რაოდენობის ზუსტი სატატისტიკა არ არსებობს, თუმცა ადგილობრივების შეფასებით შეიძლება ითქვას, რომ პრომისუნარიანი

მოსახლეობის დაახლოებით 70% დაუსაქმებელია. მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდი დამსაქმებლები არის სახელმწიფო, მწვანეების და ბოსტნეულის მწარმოებლები და ინფრასტრუქტურული პროექტების განმახორციელებელი კომპანიები. მუნიციპალიტეტში არ არსებობს არც ერთი სოციალური საწარმო. ახალგაზრდების გადინება სამუშაოს საძიებლად ძალიან მაღალია - ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 10 სოფელს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი და იქ მცხოვრებლებს, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს და ბიზნესის დანაშაულებს მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სოციალური და საგადასახადო შეღავათებით. მნიშვნელოვანია მუნიციპალური დონეზე დასაქმების პროგრამების შემუშავება, შრომის ბაზრის შესწავლა, მოთხოვნადი პროფესიების გამოვლენა, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა კავშირების გაუმჯობესება და პროფესიული გადამზადება. 2019-2020 წლის პერიოდისთვის იგეგმება უმუშევართა აღრიცხვის ერთიანი მუნიციპალური მონაცემთა ბაზის შექმნა მუნიციპალიტეტის და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ. ასევე დაგეგმილია საინფორმაციო/საკონსულტაციო ცენტრის შექმნა.

ერთ-ერთი მიმართულება, რომლის აუცილებლობა აშკარად გამოიკვეთა, არის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური საცხოვრისის შექმნა, რაც მნიშვნელოვნად მოაგვარებს უსახლკაროების პრობლემას.

ზოგადად, მთელ მუნიციპალიტეტში ძირითად პრობლემად რჩება ჯანმრთელობის დაცვის სერვისი. სოფლებს აქვთ სასწრაფო დახმარების პრობლემა. წყალტუბოდან დიდი მანძილით დაშორების გამო, სასწრაფო დახმარება ვერ ახერხებს დროულად მისვლას. პრობლემებია ამბულატორიებში აღჭურვილობასთან, მედიკამენტებთან და ინტერნეტთან დაკავშირებით. ამას განსაკუთრებით განიცდიან მაღალი ზონის სოფლები. ისინი რეალურად საჭიროებენ ამბულატორიის არსებობას, რათა საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარება დროულად იქნეს აღმოჩენილი. მექვენას კვირაში 2 დღის განმავლობაში ემსახურება ექიმი ხოლო დანარჩენი 5 დღის განმავლობაში ექთანნი. დღონოსას თემში რეგისტრირებულია სულ 250 კომლი. ამ სოფელში არ არსებობს პირველადი დახმარების ცენტრი, ამბულატორია. გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში მაცხოვრებლებს უწევთ 1,5 საათი და ზოგჯერ მეტი დროით ლოდინი სანამ სასწრაფო დახმარების ბრიგადა მივა წყალტუბოდან. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დატვირთულია სასწრაფოს ბრიგადები. გამართული სამედიცინო დაწესებულების არსებობა, მათი სათანადო ტექნიკით აღჭურვა, სასწრაფო სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და ხელმისაწვდომობის შემთხვევაში გაუმჯობესდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, რაც დაზოგავდა დროს და მატერიალურ ხარჯებს.

მაღალი ზონის სოფლების მოსახლეობა ერთხმად აღნიშნავს სახანძრო-სამაშველო ბრიგადების დაგვიანებას და მათ მოუქნელ ფუნქციონირებას, რომლის ძირითადი მიზეზი არის სახანძრო-სამაშველო პუნქტის და სოფლებს შორის არსებული დისტანცია.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სასწრაფო სამედიცინო სამსახურს წლების განმავლობაში არ გააჩნდა შესაბამისი შენობა, რაც იყო ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ იქნა შესაბამისი ფართი სასწრაფო სამედიცინო სამსახურისათვის შენობის მშენებლობისთვის და დღეის მდგომარეობით მშენებლობა დასრულებულია.



სურსათზე ხელმისაწვდომობის პრობლემა სოფლებში ნაკლებად აღინიშნება ადგილზე არსებული მცირე მაღაზიებისა და ქ. ქუთაისთან და ქ. წყალტუბოსთან სიახლოვის გამო. თუმცა, სოფლებში მწვავე გამოწვევად დაფიქსირდა მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა.

## 2.5. გარემოს დაცვა და მასთან დაკავშირებული რისკები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა, ტერიტორიული ერთეულისათვის დამახასიათებელია მოკლე ზამთარი და ცხელი ზაფხული. ჰაერის ტემპერატურის მხრივ, მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი თბილი კუთხეა საქართველოში. საშუალო წლიური ტემპერატურა 15°C-ია. ყველაზე ცხელი თვის, აგვისტოს, საშუალო ტემპერატურა +30°C-ია. ყველაზე ცივი თვეების, იანვარ-თებერვლისა, კი - 5°C<sup>5</sup>. საშუალო წლიური ტენიანობა 76%-ია. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობაა 1420 მმ/წელიწადში.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გარემოსთან დაკავშირებულ ძირითად საფრთხეებს წარმოადგენს:

- კლიმატის ცვლილება;
- წყლის რესურსის კლება;
- ძლიერი ქარი;
- ძლიერი წვიმა;
- მდინარის ნაპირების ეროზია;
- მიწისძვრა;
- ნაწილობრივ გვალება.

გარემოსთან დაკავშირებული რისკების პრევენციისა და შერბილების კუთხით აუცილებელია გარემოსდაცვითი პოლიტიკის და სამოქმედო გეგმების შემუშავება რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე, რომელიც თანხვედრაში იქნება ეროვნულ და საერთაშორისო საკანონმდებლო სისტემასთან.

გარემოსდაცვითი პოლიტიკა მოიაზრებს გარემოს მდგრად განვითარებასთან მიმართებაში იმ ვალდებულებების ერთობლიობას, რომლებიც წარმოდგენილია კანონების, რეგლამენტების და პოლიტიკის სახით. გარემოსდაცვა და მდგრადი განვითარება თავის მხრივ, მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, ნარჩენების მართვა, წყლის და ჰაერის დაბინძურება, ეკო სისტემების მართვა და ა.შ. გარემოსდაცვითი პოლიტიკის ნაწილია აგრეთვე, ენერგეტიკული ან ტოქსიკური ნივთიერებების რეგულირება, პესტიციდები და სხვადასხვა სახის სამრეწველო ნარჩენები.

აღნიშნული პოლიტიკის შექმნის მიზანია, ადამიანური ფაქტორების გათვალისწინებით, თვალყურის დევნება და პრევენცია ისეთი ქმედებებისა, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა გამოიწვიოს ბუნებრივ რესურსებსა და გარემოზე<sup>6</sup>.

იმერეთის რეგიონის განვითარების 2014–2021 წლების სტრატეგიის ერთ ერთი მთავარი მიზანია ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო და მდგრადი გარემოს განვითარება, რომელიც მოიცავს შემდეგ ამოცანებს:

<sup>5</sup> <https://georgiantravelguide.com/ka/tsqaltubo>

<sup>6</sup>

<http://www.eiec.gov.ge/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90.aspx>

- ბუნებრივი კატასტროფების რისკებისა და ავარიული სიტუაციების მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავება და განსაკუთრებით მონყვლადი ტერიტორიების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება;
- კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენის საადაპტაციო ღონისძიებების გეგმის შემუშავება და განხორციელება;
- წყლისა და ჰაერის ხარისხის მონიტორინგის პუნქტებისა და ლაბორატორიების ინსტალაცია, მონიტორინგის რეგულარული ჩატარება და ზედაპირული წყლისა და ჰაერის დაბინძურების პრევენცია;
- მდინარეების ნაპირსამაგრი ღონისძიებების გეგმის შემუშავება და განხორციელება;
- რეგიონის ტყეების მდგომარეობის გაუმჯობესება და ქარსაცავი ზოლების აღდგენა;
- გარემოსდაცვით საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერებისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლება;
- რეგიონის დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება;
- რეგიონის წყლის რესურსების, მათ შორის მინერალური და სხვა წყლების გამოყენების, დაცვისა და მართვისკენ მიმართული ღონისძიებების ხელშეწყობა;
- ენერჯის ეკონომიურად ხარჯვისა და გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად რეგიონში ენერგოეფექტური პროექტების განხორციელების ხელშეწყობა და ენერგომენეჯმენტის ინსტიტუტის განვითარება;
- მზის, ქარის, წყლის განახლებადი ენერჯის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

წყალტუბოს ეკონომიკური განვითარების 2019-2020 გეგმა, რომელიც მომზადებულია ევროკომისიის ინიციატივა "მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ტექნიკური მხარდაჭერით, განხილულია მსოფლიო ბანკის თანამშრომლების მიერ და აღიარებულია სამოქმედო დოკუმენტად, არ მოიცავს ინიციატივებს გარემოს დაცვის მიმართულებით.

საერთო გამონვევად რჩება ის, რომ მუნიციპალიტეტისათვის არ არის შემუშავებული მინათსარგებლობისა და ინფრასტრუქტურული პროექტების სივრცითი გეგმები. სუსტია, გარემოს დაბინძურების ხარისხის მონიტორინგის სისტემა. მეტეოროლოგიური სამსახურის ინფორმაციით, წყალტუბოს მდგომარეობა არც წყალზე და არც ჰაერზე არ შესწავლილა არასდროს, ვინაიდან საბჭოთა დროიდან მუნიციპალიტეტი ითვლება ყველაზე მწვანე ზონად. მუნიციპალიტეტს არ აქვს სტიქიური უბედურებების აღრიცხვის მწყობრი სისტემა; შესაბამისად, პროცესების დინამიკის გაანალიზებას შეუძლებელია, ვინაიდან წინა წლების ინფორმაცია მომხდარი შემთხვევების, მიყენებული ზარალისა და ანაზღაურებული ზიანის შესახებ არ არის ხელმისაწვდომი. ცენტრალური ხელისუფლების მიერ რეაგირება ხდება მომხდარ ბუნებრივ კატასტროფებზე, პრევენციის მექანიზმები კი სუსტია.

დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მატულობს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებითა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით გარემოსდაცვით სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები. ძლიერდება გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე სახელისუფლებო სტრუქტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სამეცნიერო წრეები და მათ შორის თანამშრომლობა. უკვე არსებობს დაცული ტერიტორიების მართვის გამართული სისტემა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზარათში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლასა და ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლარჩვალში, მსხვილ მენყრულ უბნებზე მოწყობილია სადამკვირვებლო რეჟიმული ქსელი. აღნიშნული, ხელს შეუწყობს მენყრული პროცესების დაკვირვებას და წინასწარი პროგნოზის შემუშავებას, რათა დროულად იქნას თავიდან აცილებული სტიქიისგან

მიყენებული ზარალი. არსებობს, რეალური შანსი იმისა, რომ გარემოზე ზემოქმედება შემცირდეს განახლებადი ენერჯის განვითარებით.

### ნარჩენები

ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით შემუშავებულია, რეგიონის ნარჩენების მართვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ხოლო, წყალტუბოს მუნიციპალიტეტს აქვს დამტკიცებული „წყალტუბოს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა 2018-2022“, რომელიც ხელს შეუწყობს მართვის მდგრადი და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას.

მუნიციპალურ არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნის წყაროებს მიეკუთვნებიან:

- საოჯახო მეურნეობები (კერძო სახლებსა და მრავალსართულიან შენობებში მცხოვრები ოჯახები);
- წარმოება-დანესებულებები;
- სასწავლო დანესებულებები (სკოლები, სკოლამდელი დანესებულებები);
- მომსახურების ობიექტები (სავაჭრო და კვების ობიექტები);
- სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები;
- სხვა ორგანიზაციები.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოგროვებასა და ტრანსპორტირებას მუნიციპალიტეტები ახორციელებენ. მუნიციპალიტეტში არსებობს ნარჩენების მართვის სამსახური - ა(ა)იპ „დასუფთავების სამსახური“, რომლის მოვალეობაში შედის ნარჩენების შეგროვება, მოცულობების აღრიცხვა და განთავსება პოლიგონზე. ნარჩენების მართვის გაუმჯობესების მიზნით, ბოლო წლებში, შეიძინეს 5 დიდი და 1 პატარა სპეც-მანქანა და 450 ერთეული ურნა. იმისათვის, რომ სრულად მოხდეს ნარჩენების უტილიზება, საჭიროა ტექნიკის და ურნების სამჭერ მეტი რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ მაღალ ზონაში საერთოდ არც ურნები დგას და არც ნარჩენების გატანა ხდება.

მყარი ნარჩენები გადის გეგუთის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტიდან ყოველდღე საშუალოდ გაედინება 25-25 ტონა მყარი ნარჩენი, თუმცა აგვისტო-სექტემბრის თვეში ეს მოცულობა იზრდება 30-25 ტონამდე.

ნარჩენების მართვის მოქმედი გეგმის მიხედვით არსებობს ნარჩენების წარმოქმნის ზრდის რეალური პროგნოზი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის მუნიციპალური სერვისით სარგებლობს დაახლოებით 40%. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით, 2020 წლისთვის ეს ციფრი 80%-ს მიაღწევს. დასუფთავების სამსახურის ინფორმაციით, კომპანია ემსახურება მხოლოდ დარეგისტრირებულ აბონენტებს. ნარჩენების გატანა ხორციელდება ე. წყალტუბოდან და მიმდებარე სოფლებიდან (გააქვს სოფლის ცენტრებში არსებული ნაგვის ბუნკერებში განთავსებული ნარჩენები). სოფლებიდან ნარჩენების გამოტანა ვერ ხერხდება, ვინაიდან მუნიციპალიტეტში არ მომხდარა აბონენტთა სრული აღრიცხვა და რეგისტრაცია. მოსახლეობა, რომელიც დასუფთავების მომსახურების გარეშე დარჩენილი, ნარჩენებს მდინარეებში ან გზების პირას ყრის. ასევე მრავლადაა მცირე ფართობის არალეგალური ნაგავსაყრელები, რომლის კონტროლიც შეუძლებელია. ამ ნაგავსაყრელებზე განთავსებული ნარჩენების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. გარდა ამისა, ვერ ხერხდება უკვე არსებული/დარეგისტრირებული აბონენტებისგან გადასახადის ამოღება. აუჟამად დავალიანების ამოღება ხდება სასამართლოს გზით, მაგრამ ახლახანს დაწესდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე დაჯარიმება. ნაგვის გადასახადები ფარავს ხარჯების 10%-ს, ხოლო

დანარჩენი ხარჯები მუნიციპალურ სუბსიდიამა (2018 წ. – 815,200.00 ლარი და 2019 წ. – 902,500.00 ლარი).

დასუფთავების სამსახურის ცნობით, არ ასეობს სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელი და ხშირია, როდესაც ოფიციალურ ნაგავსაყრელზე ხშირად ხვდება სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები (რაც დაუშვებელია).

მუნიციპალიტეტში არ არსებობს ნარჩენების დახარისხების და ორგანული ნარჩენების კომპოსტირების პრაქტიკა. პრობლემად რჩება, სამშენებლო ნარჩენების უტილიზება. რაც შეეხება სახიფათო-სამედიცინო ნარჩენებს, მოქმედი საავადმყოფოები და სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებები ნარჩენებს ათავსებენ სპეციალურ, ჰერმეტიკულად დაცულ კონტეინერებში და კერძო კომპანია, სპეც-სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფს მათ ტრანსპორტირებას ქ.თბილისში.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით, მომავალ ხუთ წელიწადში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გაიზრდება ისეთი ნარჩენების წყაროსთან სეპარირება, როგორცაა პლასტმასი და ქალაქი. დასუფთავების სამსახურს აქვს პლასტმასის ნარჩენების საპრესი დანადგარი, მაგრამ ის არ არის დამონტაჟებული და არ გამოიყენება.

ამჟამად იმერეთის რეგიონში, ნაგავსაყრელების მდგომარეობა არ პასუხობს გარემოსდაცვით, სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებსა და ნორმებს. ნაგავსაყრელების ნაწილი მდინარეების პირასაა განლაგებული, ამის გამო ატმოსფერული ნალექებისა და წყალდიდობის დროს ნარჩენები მდინარეში ირეცხება. ნაგავსაყრელები არ არის შემოღობილი და დაცული, რის შედეგადაც ადგილი აქვს ნაგავსაყრელების მთელ ტერიტორიაზე პირუტყვის თავისუფალ გადაადგილებას.

ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება, მოსახლეობის ქცევის შეცვლა და ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის საკითხებში. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით, მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდება ქალაქის ნარჩენების სეპარირებაზე. იგეგმება სპეც-კონტეინერების განთავსება და დაინერგება ქალაქის განცალკევებული შეგროვება სკოლებსა და საჯარო დაწესებულებებში. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების პოპულარიზებას და დანერგვას. მუნიციპალიტეტში განვითარებულია მემწვანილეობა და მებოსტნეობა. წარმოქმნილი ნარჩენების 40-45% ბიოდეგრადირებად მასას შეადგენს. კომპოსტირების დანერგვა არა მარტო შეამცირებს ნაგავსაყრელზე გასატანი ნარჩენების რაოდენობასა და გარემოს დაბინძურებას, არამედ ფერმერულ და საოჯახო მეურნეობებს უზრუნველყოფს კომპოსტით, რომლის გამოყენება სოფლის მეურნეობაში შეამცირებს სასუქებზე მოთხოვნილებას და ხელს შეუწყობს უფრო მაღალი ხარისხის პროდუქტის მოყვანას.

### ჰაერი

იქედან გამომდინარე, რომ იმერეთის რეგიონში და კონკრეტულად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტზე გადის ბათუმი-თბილისის საავტომობილო გზა, რომელიც საქართველოს ძირითადი სატრანსპორტო ღეროებია, ამ რეგიონში ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაცია ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე მაღალია, რაც უარყოფითად მოქმედებს ჰაერის სისუფთავის ხარისხზე.

რეგიონის იმ ტერიტორიების მანქანების გამონაბოლქვის გაფრქვევისაგან დასაცავად, რომლებსაც ამჟამად მშენებარე მაგისტრალი კვეთს, სასურველია გზის მთელ სიგრძეზე



მოეწეოს შესაბამისი დამცავი ზოლი (იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014–2021)<sup>7</sup>.

## წყალი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების სიუხვით, რომელიც ძირითადად მდინარე რიონიდან, მდინარე წყალტუბოდან და გუბისწყალიდან მარაგდება. წყალტუბო აგრეთვე გამოირჩევა თერმული წყლის რესურსით, რომელსაც სამკურნალო თვისებები აქვს და მისი ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობა, რაც მის რადიოაქტივობაში ვლინდება, მის თვისებებს მეტად უნიკალურს ხდის<sup>8</sup>.

მუნიციპალიტეტის წყლის რესურსები საკმარისია წყალზე არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ მუნიციპალიტეტში არ ფლობენ ინფორმაციას ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების რესურსებით წყალმომარაგების მოცულობის და მოხმარებული წყლის ოდენობის შესახებ. მუნიციპალიტეტში აგრეთვე არ არსებობს ჰიდროლოგიური სადგური. შესაბამისად, არ ხორციელდება მონიტორინგი ზედაპირულ წყლებზე. არც წყლების დაბინძურების მონიტორინგი ტარდება, შესაბამისად დაბინძურების შემთხვევებიც არ არის აღრიცხული.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტიდან ხდება ქალაქ ქუთაისის მოსახლეობის წყალმომარაგება. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ზედაპირული წყლები გამოიყენება ინდუსტრიული წყალმომარაგებისა და ირიგაციისათვის, ხოლო მიწისქვეშა წყლები მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის და სარწყავად. ქალაქ წყალტუბოს გარდა, ტერიტორიული ერთეულის დასახლებათა უმეტესობა არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალიზებული წყალმომარაგებით. ქ. წყალტუბოს 60%-ს აქვს საკანალიზაციო კოლექტორები, თუმცა გამწმენდი მოწყობილობები არ არსებობდა. ათეული წლის განმავლობაში, წყალტუბოში ფეკალური მასები მდინარეში ჩაედინებოდა. ამჟამად, წყალტუბოში შენდება თანამედროვე ტიპის კანალიზაციის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა, რომლის მეშვეობითაც მდინარეში ჩამდინარე წყალი გაიფილტრება და მრავალწლიანი პრობლემა სრულად აღმოიფხვრება. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში წყლის რესურსის მართვა–განკარგვაზე პასუხისმგებელია ცენტრალიზებული სამსახური–გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია. ქალაქ წყალტუბოს წყალი უწყვეტად მიეწოდება 3 რეზერვუარიდან. მიწოდებული წყლის ხარისხი რეგულარულად მონიტორინგდება ლაბორატორიის მეშვეობით. რიგ სოფლებს წყალი მიეწოდება გრაფიკით: გვიტები; გუმბრა; თერნალი; ხომული და სოფ. წყალტუბო. წყალტუბოს მაღალმთიან სოფლებში არ არის წყალმომარაგება, მაგრამ იგეგმება მომავალში. წყალმომარაგების პრობლემა თავს იჩენს ზაფხულის სეზონზე. სოფლის წყალმომარაგების ქსელები გამოსაცვლელია. კომპანია ვერ ახორციელებს სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოებს იმის გამო, რომ მიწები მერიის ბალანსზეა. წყლის მიწებს აქვს დიდი დანაკარგი. წყალმომარაგების კომპანიას უჭირს მოსახლეობიდან წყლის საფასურის ამოღება.

რეგიონში, სამრეწველო საქმიანობის სიმწირის გამო, არ ფიქსირდება მრეწველობით გამოწვეული უარყოფითი შედეგები, აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტში წყლის რესურსების ძირითად დამაბინძურებლად, ისეთი საყოფაცხოვრებო საქმიანობები მიიჩნევა, როგორებიცაა გაუმართავი საკანალიზაციო სისტემა და არაჯეროვნად მოქმედი გამწმენდი ნაგებობები, შედეგად წარმოიქმნება წყლის ობიექტების აზოტის, ფოსფორისა და ორგანული

<sup>7</sup> <http://imereti.gov.ge/res/docs/strategia.pdf>

<sup>8</sup> [http://nala.ge/climatechange/uploads/BaselinePerMunicipality/57\\_ckaltubo.pdf](http://nala.ge/climatechange/uploads/BaselinePerMunicipality/57_ckaltubo.pdf)

ნივთიერებებით დაბინძურების რისკი (იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014–2021<sup>9</sup>).

წყალტუბოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის დასრულების სავარაუდო ვადა 2017 წელი იყო, თუმცა სამუშაოთა ძალზე დიდი მოცულობისა და ღირებულების გამო წყლის ობიექტების დაბინძურების წყაროების სრულ აღმოფხვრას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება<sup>10</sup>.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდ. რიონის კალაპოტიდან დიდი რაოდენობით ხდება ინერტული მასალის მოპოვება. მდინარის ნაპირების დინამიკის და საინჟინრო ნაგებობების მდგომარეობის მონიტორინგი სუსტია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. რიონზე, ჰიდრო-ენერგეტიკული დანიშნულების სამი წყალსაცავია: გუმათის, რიონისა და ვარციხის. აღნიშნული წყალსაცავები მნიშვნელოვნად განაპირობებენ მდინარის ნაპირების ეროზიას, რაც გამოიხატება ზარათის, რიონის, უონეთის, ნამოხვანის, ზედა მესხეთის და მექვენას ტერიტორიებზე. ნაპირების და კალაპოტის ეროზიის შედეგად ზიანდება საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა. მოყვანილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად იგეგმება და ხორციელდება პროექტები. კერძოდ, კეთდება ნაპირსამაგრები, აღდგა ხიდეები და მიმდინარეობს დაგროვებული ინერტული მასალის ამოღება.

იმერეთის რეგიონში წარმოებული ელექტრო ენერჯის 45%-ს წყალტუბოს მუნიციპალიტეტი გამოიმუშავებს<sup>11</sup>. ამ მხრივ, ენერგეტიკის კუთხით მუნიციპალიტეტს სრულად არ აქვს ათვისებული წყლის ბუნებრივი რესურსების სრული მოცულობა, თუმცა მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნებისმიერი ახალი პროექტი, რომელიც ეხება ენერგეტიკას, კარგად იყოს შესწავლილი გარემოზე ზემოქმედების საკითხებთან მიმართებაში.

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდმა“ 2015 წლის 24 დეკემბერს გამოხატა ინტერესი მდინარე რიონზე (წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში) ნამახვანის ორ კასკადიანი ჰესის პროექტის მშენებლობა-ოპერირება-ფლობაზე, რომელიც ტერიტორიულად მდებარეობს წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში. 2017 წლის 16 იანვარს ნამახვანის პროექტის გამარჯვებულად ყოფილი „ქლინ ენერჯი გრუპ ჯორჯია“ გამოაცხადდა, რომელსაც ამჟამად შპს „ენკა რინიუებლსი“ ახორციელებს. ინვესტორი კომპანიის მიერ განხორციელებულ საპროექტო ცვლილებების გამო, 2019 წლის 14 თებერვალს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების საფუძველზე გადაწყდა, რომ პროექტში შეტანილი ცვლილებები (ექსპლუატაციის პირობების შეცვლა) დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის ოფიციალური ინფორმაციით, განახლებული ნებართვის აღება დაგეგმილი იყო 2019 წლის შემოდგომისთვის, რომლის მომდევნო ეტაპიც იქნება სამშენებლო სამუშაოების დაწყება. „ნამახვანი ჰესის“ დადგმული სიმძლავრე იქნება 433 მგვტ, ხოლო სავარაუდო წლიური გამომუშავება 1496 გგვტ.სთ. ჰესი ექსპლუატაციაში 2023 წელს უნდა შევიდეს<sup>12</sup>. აღსანიშნავია, რომ მშენებლობაში დასაქმდება დაახლოებით 1800 ადამიანი, რომელთა დიდი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობა იქნება. ჰესის მშენებლობაზე გამოიყრნება ადგილობრივი სამშენებლო მასალების და რესურსები, რაც ხელს შეუწყობს სამშენებლო მასალების წარმოების სექტორის გააქტიურებას. საქართველოს ენერგოსისტემა მიიღებს დამატებით ელექტროენერჯიას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობისთვის. პროექტის განხორციელების შედეგად

<sup>9</sup> <http://imereti.gov.ge/res/docs/strategia.pdf>

<sup>10</sup> <http://imereti.gov.ge/res/docs/strategia.pdf>

<sup>11</sup> <http://imereti.gov.ge/res/docs/strategia.pdf>

<sup>12</sup> <http://gedf.com.ge/project/23-namakhvanis-hesebis-kaskadi>

ადგილობრივ ბიუჯეტში შევა დამატებითი თანხები. მათ შორის აღსანიშნავია ქონების გადასახადი, რაც რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარებას და სხვადასხვა სოციალურ პროექტებს მოხმარდება.

სპეციალისტების აზრით, ჰესის მშენებლობა დიდ საფრთხეს წარმოადგენს მეზობელი სოფლებისა და ქალაქ ქუთაისისთვის, რადგან ის იმყოფება სეისმურად და მენცრულად საშიშ უბანში, წყლით დაიფარება დაახლოებით 157 ჰექტარი მიწის ფართობის ტერიტორია, მათ შორის სამი დასახლებული სოფელი, ქუთაისი-ალპანა-მამისონის საავტომობილო მაგისტრალის მონაკვეთი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და სასოფლო-სამეურნეო მიწები, შეიცვლება ეკო სისტემა და მიკროკლიმატი, განადგურდება უამრავი მცენარე, მათ შორის უნიკალური ჯიშის ვაზები (მაგალითად ტვიში, ცოლიკაური და უსახელოური), საფრთხე შეექმნება წყლის ბიომრავალფეროვნებას, მათ შორის იქთიოფაუნას.

შპს „ენკა რინიუებლზის“ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი - 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ქვედა ნამახვანი) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიშში ნათქვამია, რომ მსოფლიოში განხორციელებული მსგავსი და ამაზე მაშტაბური ჰიდროელექტროსადგურების პროექტების მიკროკლიმატის ზემოქმედებაზე ჩატარებული აკადემიური კვლევების საფუძველზე დგინდება, რომ პროექტის ჰორიზონტალური ზემოქმედება ტემპერატურასა და ტენიანობაზე შეიძლება აღინიშნებოდეს რეზერვუარების ნაპირიდან მხოლოდ 100 მეტრში. შესაბამისად, ზემოქმედება ადგილობრივ მიკრო-კლიმატზე (ტემპერატურა, ქარი, ტენიანობა) ლოკალიზებული იქნება რეზერვუარის ზედაპირზე და უშუალოდ მის გარშემო. რეზერვუარის მიერ წარმოქმნილი მიკროკლიმატის მანძილი, რომელიც ჰორიზონტალურად გავრცელდება, შემოიფარგლება ხეობის ძირის ტოპოგრაფიით, რელიეფის უთანაბრობით (მაგ. ხეები) და ქარებით<sup>13</sup>.

პროექტისთვის გათვალისწინებულ რეზერვუარს, მისი მოცულობიდან გამომდინარე არ შეუძლია მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს სეზონური ტემპერატურების კონტრასტზე, თუმცა რეზერვუარის სიახლოვეს მცირეოდენი განსხვავებები იქნება. ასე მაგალითად, დღიური მინიმალური და მაქსიმალური ტემპერატურები შეიცვლება. ყინვის შემთხვევაში, რეზერვუარის მახლობლად ტემპერატურები შეიძლება ოდნავ მაღალი იყოს, ხოლო სიციხის დროს, სიციხის ტალღა შეიძლება ოდნავ დაბალი იყოს. მოსალოდნელია ტენიანობის მცირე ზრდა და უფრო ზომიერი ტემპერატურა.

წარმოდგენილი გზმ-ში ნათქვამია, რომ ღვინის რეგიონებში ადგილობრივ კლიმატზე რეზერვუარების მიერ ზემოქმედებაზე კონკრეტული მითითებები ლიტერატურაში არ არსებობს, თუმცა მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ ღვინის რეგიონის კლიმატზე გავლენას ახდენს ტოპოგრაფია და დიდ წყალსატევებთან (ზღვა, ტბა ან დიდი მდინარე) სიახლოვე. გარდა ამისა, ადგილობრივი ბრიზები გავლენას ახდენს მეზობელი ხმელეთის ზედაპირების ადგილობრივ კლიმატურ პირობებზე, რომლებსაც თავის მხრივ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მევენახეობაზე და ზოგადად სოფლის მეურნეობაზე.

წარმოდგენილ გზმ-ში ყურადღება გამახვილებულია N6 (გონის მასივი) და N8 (სოფ. ქორენიში) მენცრულ ზონებზე. მენცრული უბნების გააქტიურებით მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები შესაძლებელია გავრცელდეს, როგორც ჰესის კომუნიკაციებზე, ასევე გასცდეს ჰესის საზღვრებს. იმ შემთხვევაში თუ მენცრული პროცესები გამოიწვევს მდინარის

<sup>13</sup> <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/17132>

კალაპოტის ჩახერგვას და წყალსაცავის ზემოთა მონაკვეთის შეტბორვას, უარყოფითი ზემოქმედების გავრცელება წყალსაცავის ზემოთ არსებულ დასახლებულ პუნქტებზეც. რისკების თავიდან აცილების მიზნით, ჰესის ძალური კვანძის და ქვესადგურის ინფრასტრუქტურული ობიექტების განსათავსებლად შერჩეული იქნა საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების თვალსაზრისით შედარებით დაბალი რისკების მქონე ტერიტორია. N6 მენყრის კონტურში მოენყობა თანამედროვე ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემა. N8 მენყრული სხეულის ძირში მოენყობა ქვაყრილის გაბიონი, რაც შეამცირებს მდინარის ნაპირის წარეცხვის ეროზიულ მოქმედებას და მასთან დაკავშირებულ მენყრული პროცესის დინამიკას. N8 მენყრული სხეულის მიმდებარედ გამავალ საავტომობილო გზაზე და მთლიანად მენყრულ სხეულზე, ინჟინერ-გეოლოგების მიერ პერიოდულად განხორციელდება ვიზუალური მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში გზის გასწვრივ ჩატარდება შესაბამისი გამაგრებითი სამუშაოები. უკიდურეს შემთხვევაში მოხდება აღნიშნული გზის მონაკვეთის გადატანა ფერდობის მაღალ ნიშნულებზე.

გზმ-ს მიხედვით მშენებლობის პროცესში ცხოველთა და ფრინველთა მიგრაცია შორ მანძილზე არ მოხდება. გარდა იქთიოფაუნისა, მშენებლობის დასრულების და შემფოთების წყაროს „გაჩერების“ შემდეგ ცხოველები/ფრინველები დაუბრუნდებიან პირვანდელ სამყოფელს. აღსანიშნავია, რომ IUCN-ის წითელი ნუსხის მიხედვით, საქართველოში გავრცელებული ზუთხისებრთა ყველა სახეობა გლობალურად გადაშენების კრიტიკული საფრთხის წინაშე იმყოფება. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) 2018 წლის კვლევაზე დაყრდნობით მიღებული მონაცემების მიხედვით, მდინარე რიონი ერთ-ერთია მსოფლიოს იმ რამდენიმე მდინარეთაგან, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ზუთხისებრთა სატოფო ადგილები და ხდება მათი ბუნებრივ გარემოში გამრავლება. ამ მხრივ მდ. რიონს აქვს განსაკუთრებული ეროვნული, რეგიონული და გლობალური მნიშვნელობა ზუთხისებრთა გადარჩენისა და მათი სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების აღდგენისთვის. ამ სახეობების დაცვის მიზნით დაგეგმილია, მდ. რიონის გარკვეულ მონაკვეთზე ახალი დაცული ტერიტორიის შექმნა და მისი შესართავისა და შესართავის მიმდებარე საზღვაო სივრცისთვის დაცული ტერიტორიის სტატუსის მინიჭება კოლხეთის ეროვნული პარკის გაფართოების გზით.

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი მსჯელობისა, გარემოსდამცველთა ნაწილი ჰესის მშენებლობის შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კურორტ წყალტუბოს არსებობას. მათი მტკიცებით, სათანადოდ არ არის შესწავლილი ემუქრება თუ არა საფრთხე წყალტუბოს წყალს, კარსტულ მღვიმეებს და მიწისქვეშა მდინარეებს.

## ტყე

წყალტუბოს ბუნებრივი სიმდიდრე ტყეა. მუნიციპალიტეტში არის სამრეწველო, სუბალპური, ჭალისპირა და დაცული ტერიტორიის (სათაფლიის ნაკრძალი) ტყეები. ტყის საერთო ფონდი დაახლოებით 25 000 ჰექტარს შეადგენდა. ტყეების უმრავლესობა პირველ ჯგუფს მიეკუთვნება. რეგიონში ტერიტორიის გატყიანება 34.9 პროცენტს შეადგენს (წყალტუბოს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა 2018-2022). სატყეო მეურნეობის მართვა-განკარგვა მუნიციპალიტეტის გამგეობის კომპეტენციაში არ შედის.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხვის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს ტყის ჭრა. თუმცა, ამ უკანასკნელ პერიოდში, მკაცრი კონტროლის და სოფლების გაზიფიცირების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობდა ქარსაცავი ზოლები, რომლის რაოდენობა 1990-იანი წლების შემდგომ მნიშვნელოვნად შემცირდა.



ტყეებში, ყოველწლიურად 2–3 მცირე სიძლიერის ხანძარი ფიქსირდება,<sup>14</sup> მაგრამ დაზიანებული ფართობების შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. მონაცემების არ არსებობის გამო, ტყის ჭრასთან ვერ აკავშირებენ მენყერებს, ღვარცოფებს და ნიადაგის ეროზიას. ტყის აღდგენა–გაშენების პროექტებთან დაკავშირებით გამგეობას ინფორმაცია არ გააჩნია.

იმერეთის დაცულ ტერიტორიებზე არსებული მღვიმეებიდან, ბოტანიკურად მხოლოდ სათაფლიას ნაკრძალი და აღკვეთილია შესწავლილი. სათაფლიას ნაკრძალი, ნოტიო სუბტროპიკულ სარტყელში მდებარეობს. ნაკრძალის ტერიტორიის 98% დაფარულია ახალგაზრდა კოლხური ტიპის, სუბტროპიკული ტყით. ამ ტერიტორიებზე დომინირებს წიფლნარი - ბზის ქვეტყითა და რცხილნარი - ჯაგრცხილას ქვეტყით. წიწვოვანებიდან გვხვდება უთხოვარი (თახუს ბაცკატა). ნაკრძალის ტერიტორიაზე 67 სახეობის მერქიანი მცენარეა აღწერილი, რომელთაგან 30 ხეა და 37 ბუჩქი. წარმოდგენილი სახეობებიდან 59 ფოთოლმცვენია, 8 კი მარადმწვანე. მერქიანი მცენარეთა თითქმის ნახევარი რელიქტურია. მათ შორისაა კავკასიური რცხილა, ქართული მუხა, აღმოსავლეთის წიფელი, წაბლი და სხვა<sup>15</sup>.

კოლხური ტყის ელემენტებიდან, ნაკრძალში გავრცელებულია 8 სახეობა: ჰართვისის მუხა, იმერული ხეშავი, შქერი, თაგვისარა, ძმერხლი, კოლხური ჯონჯოლი, მაღალი მოცვი და კოლხური ბზა. პოლტავის ფლორის ელემენტებიდან აქ გვხვდება: ბზა, კოლხური სურო, შქერი და სხვა. ამასთან ერთად, ბალახოვანი მცენარეების 482 სახეობაა გავრცელებული. აღსანიშნავია, სათაფლიას ნაკრძალში გავრცელებული იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი 9 მერქიანი მცენარე: უთხოვარი, ურთხელი ( *Taxus baccata* L.), კოლხური ბზა (*Buxus colchica* Pojark.), წაბლი (*Castanea sativa* Mill.), იმერეთის მუხა (*Quercus imeretina* Stev. ex. Maleev.), კოლხური ჯონჯოლი (*Staphylea colchica* Stev.), ძელქვა (*Zelcova carpinifolia* (Pall.) C. Koch.) და სხვა<sup>16</sup>.

სათაფლიის ნაკრძალში - ძუძუმწოვრების 12, რეპტილიების 5, ამფიბიების 4 და ფრინველების 30 სახეობა ბინადრობს. მსხვილი ძუძუმწოვრებიდან აქ ტურა, მაჩვი, ტყის კვერნა, კავკასიური ციყვი, ევპორული კურდღელი და მელა გვხვდება, იშვიათად კი მგელი და შველი. კოლხური ტყის ლამაზ პეიზაჟს, სხვადასხვა სახეობის ფრინველები ავსებენ. ნაკრძალი მერცხლების, კავკასიური სკვინჩების, ჭელია ყარანების, შაშვებისა და ჩხიკვების სამფლობელოა. ამ ტერიტორიებს ხშირად ოფოფი, მწყერი და ტყის ქათამი სტუმრობს<sup>17</sup>.

### წარმოება და სოფლის მეურნეობა

მუნიციპალიტეტში წარმოება არ არის განვითარებული. ჰიდრო–ენერგეტიკის ობიექტების გარდა ფუნქციონირებს, მხოლოდ ინერტული მასალების გადამამუშავებელი, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვების გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის მცირე საწარმოები. საწარმოებში არ არსებობს ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებისა და ნარჩენების აღმოფხვრა–დამუშავება–უტილიზაციის პროექტივა. არ არსებობს სამრეწველო და საშიში ნარჩენების გაუვნებლობის სისტემა. სამრეწველო წარმოებაში ძირითადად გამოიყენება მოძველებული ტექნოლოგიები. არ არსებობს, წყალარინების სისტემა. არ ხდება სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებითა და სხვა ნარჩენებით დაბინძურების კონტროლი.

<sup>14</sup> [http://nala.ge/climatechange/uploads/BaselinePerMunicipality/57\\_ckaltubo.pdf](http://nala.ge/climatechange/uploads/BaselinePerMunicipality/57_ckaltubo.pdf)

<sup>15</sup> <https://apa.gov.ge/ge/biomravalferovneba/imeretis-mgvimeebis-daculi-teritoriebis-biomravalferovneba>

<sup>16</sup> <https://nationalparks.ge/ka/site/satapia/natureCulture>

<sup>17</sup> <https://apa.gov.ge/ge/biomravalferovneba/imeretis-mgvimeebis-daculi-teritoriebis-biomravalferovneba>

გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ უმნიშვნელოვანეს საკითხებად წამოიწია, უკეთესი ეკოლოგიური მდგომარეობის შექმნის აუცილებლობა. გამოვლინდა, რომ მოსახლეობას ესაჭიროება ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვის საკითხებზე. სოფლებში საჭიროა, ნაგვის ბუნკერების განთავსება და ნარჩენების დროულად გატანა. უნდა მოხდეს, ღია და უკანონო ნაგავსაყრელების სრული ლიკვიდაცია (განსაკუთრებული პრობლემაა გვეუთში და ქვედა მესხეთში); დაინერგოს, ნარჩენების გადამუშავების ახალი მეთოდები (კომპოსტირება და სხვა). მოსაგვარებელია, სასმელი წყლის მიწოდების და ხარისხის პრობლემა. მოსახლეობა მდინარე რიონში ყრის ნაგავს. უნდა გამკაცრდეს უკანონო ნაგვის გადაყრაზე კონტროლი. სარწყავი არხების მოუნესრიგებლობის გამო, მიწების ძირითადი ნაწილი მოუხნავი რჩება. განსაკუთრებით, გვალვა აწუხებს ქვეტირს და მიმდებარე სოფლებს. თფურჩხეთში კარიერული სამუშაოების გამო ჰაერი დაბინძურებულია. სოფელ ცხუნკურში, მდინარე სემის კალაპოტი და წყლის დებეტი საგრძნობლად შემცირებულია. ზაფხულში წყალი იკარგება და მდინარე შრება. ქალაქ წყალტუბოს აქვს მეფხოვეების ნაკლებობა და აუცილებელია გამკაცრდეს ხეების ჭრაზე კონტროლი.

### 3. შემაჯამებელი დასკვნა

არსებული გამოწვევების და მათი გადაწყვეტის ეფექტიანი გზების საპოვნელად, მნიშვნელოვანია სისტემური მიდგომების დანერგვა სოფლად განვითარებისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის თანამედროვე მექანიზმების მდგრადი გამოყენებით.

ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მთავარი პრიორიტეტია. ამ დარგებში არსებული ტრადიციული მიმართულებები, რომლებიც ისედაც ცნობილი და მაპროფილებელია წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის დღემდე მოიკოჭლებს. უფრო მეტიც, ვერც კი წარმოაჩენს მუნიციპალიტეტს მონივნავ საუკეთესო პრაქტიკის და შედეგების მქონე მიმართულებებად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ადგილობრივი ეკონომიკის მაპროფილებელი დარგების განვითარების გონივრული ხელშეწყობა და მათი საექსპორტო პოტენციალამდე გაზრდა. ასევე, მნიშვნელოვანია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის და მისი ეკონომიკური დარგების სწორი და ახლებური პოზიციონირება ძლიერი მარკეტინგული მხარდაჭერით. არსებობს ახალი ეკონომიკური პერსპექტივებიც, რომელსაც სჭირდება დანერგვა, გამოცდა და პოპულარიზება. მცირე და საშუალო მენარმეობის ხელშეწყობა და ადგილობრივ დონეზე ბიზნესის კეთების სტიმულირება მნიშვნელოვანი ფაქტორია დასაქმების, შემოსავლის ზრდის და მოსახლეობის გადინების შესამცირებლად.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება მიმართული უნდა იყოს ადამიანური რესურსების შესაძლებლობის გაზრდაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდების, დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირების, შრომის ბაზრის განვითარებაზე, მიგრაციის პროცესის შეჩერებაზე, დისკრიმინაციის საფრთხის წინაშე მყოფი შშმ პირების შესაძლებლობების განვითარებაზე. როგორც გამოვლინდა, თითქმის ყველა პროფესიულ კვალიფიკაციაზე არის დეფიციტი. მნიშვნელოვანია, ახალი კადრების მომზადება, არსებულის გადამზადება, სამენარმეო უნარ-ჩვევების განვითარება და ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს შრომის ბაზრის საჭიროებებისა და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით - მეცნიერულ, კვლევაზე დაფუძნებული მიდგომებით.

აუცილებელია ხარისხიანი სოციალური სერვისების შექმნა და უზრუნველყოფა. ასევე მნიშვნელოვანია თანაბარი შესაძლებლობების შექმნა და სიღარიბის დასაძლევად ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, სამუშაო ძალის სრულფასოვანი ჩართულობა და

უფრო ეფექტიანია მობილიზება კერძო-საჯარო თანამშრომლობის გაძლიერებისა და კავშირების გამყარების მიზნით.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება წარმოადგენს უმთავრეს საკითხს. ის პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (წყალი, გზა, განათება, კანალიზაცია, კავშირგაბმულობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი და სხვა) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა.

და ბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბუნება ჩვენი მარჩენალია. გარემოს დაცვა, ბიო-მრავალფეროვნება, კლიმატგონივრული ტექნოლოგიების დანერგვა და მწვანე ცნობიერების ამაღლება არის უმთავრესი და აუცილებელი გამოწვევა მწვანე ქალაქის მომავლისათვის.

**დანართი 1: ფოკუს-ჯგუფის და ინდივიდუალური ინტერვიუს სადისკუსიო საკითხების კითხვარი**

**ტერიტორია**

თემ(ებ)ი:

სოფლები:

<b>საბაზისო კვლევის მიზანი და ამოცანის გაცნობა</b>
.....
<b>დამსწრეთა მიერ საკუთარი თავის წარდგენა ჯგუფში</b>
.....
<b>ისტორიული მონახაზი (რა გახსოვთ დამსწრეებს საკუთარი სოფლის, თემის შესახებ)</b>
.....
<b>თემა 1: სოფლის მეურნეობა</b> სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოება და გადამამუშავება (მესაქონლეობა - რძისა და ხორცის წარმოება, მემცენარეობა - ხილი და ბოსტნეული კულტურები, სასათბურე მეურნეობა, სახნავ-სათესი კულტურები, მეფუტკრეობა, მეთევზეობა, და ა.შ.)
<b>დისკუსია:</b> რას ვანარმოებთ? რა არის საშუალო მოსავლიანობა? რა არის წარმოებულის არსებული მოცულობა? რა არის წარმოების მაქსიმალური პოტენციალი? რა ზომის მეურნეობები/საწარმოები გვაქვს? რამდენ ადამიანს ასაქმებს საწარმო/მეურნეობა? რა ფინანსური კალკულაციები ვიცით (მაგ. ერთი ლიტრის/კგ.ს წარმოება, მისი დანახარჯი, მოგების მარჟა, საშუალო საცალო და საბითუმო ფასი)?  <u>კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი წარმოების ფაქტორები:</u> რა ბუნებრივი რესურსები არსებობს? რა ადამიანური რესურსები არსებობს? რა კაპიტალი არსებობს? როგორია გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა? როგორია სხვა ინფრასტრუქტურა? რა ტექნოლოგიებს ვიყენებთ? რა ინოვაციები გვაქვს დანერგილი?  <u>საბაზრო ფაქტორები:</u> ვინ არიან თქვენი მომხმარებლები და რა ზომის არის თქვენი ბაზრი? როგორია მომხმარებლის მახასიათებლები (რა სეგმენტის კლიენტს ვემსახურებით)? როგორია ძირითადი გაყიდვების არხები (შიდა/გარე/საცალო/საბითუმო)?  ვინ არიან ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები და რა პროცესებია ღირებულებათა ჯაჭვში?  დაასახელეთ პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული დამხმარე სექტორები?  დაასახელეთ შემხებლობაში არსებული სახელმწიფო რეგულაციები და სტანდარტები?  სხვა რომელი დარგების ან კულტურების განვითარების პოტენციალს ვხედავთ მომავალში და რა არის ამის რეალური არგუმენტი/მტკიცებულების საფუძველი?
<b>SWOT</b>



უპირატესობები - ძლიერი მხარეები, ნაკლოვანებები - მთავარი პრობლემები, შესაძლებლობები და საფრთხეები

**რა არის ჩვენი მიზანი - რისი მიღწევა გვინდა?**

**ამოცანები/ღონისძიებები მიზნის მისაღწევად:**

რა სახის ღონისძიებები უნდა გატარდეს (მაგალითად, დარგის/სექტორის განვითარების ხელშესაწყობად)?

სად უნდა განხორციელდეს?

როდის/რა პერიოდში უნდა განხორციელდეს კონკრეტული აქტივობები?

ვინ მიიღებს სარგებელს - ძირითადი სამიზნე ჯგუფები/ბენეფიციარები?

ვინ უზრუნველყოფს ღონისძიებების განხორციელებას და როგორ?

ვინ იქნებიან თანამონაწილე/მხარდამჭერი/დამხმარე ორგანიზაციები?

**თემა 2: ტურიზმი**

ტურიზმის სახეობები; დაჯავშნა, დახვედრა-გაცილება, განთავსება; დასვენება; გართობა; რეკრეაცია; გასტრონომია; სხვა მომსახურება (დაკული ტერიტორიები, პიკნიკები, კემპინგ ზონები, თევზაობა, ნადირობა, გამყოლი გიდი).

**დისკუსია:**

რას ვაწარმოებთ (სასურველი ამონაცემები ამოვიღოთ ციფრობში)?

რა არის წარმოებულის არსებული მოცულობა (მაგალითად შიდა და საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა)?

რა არის წარმოების მაქსიმალური პოტენციალი?

რა ზომის საწარმოები/ბიზნესები გვაქვს?

რამდენ ადამიანს ასაქმებს საწარმო/ბიზნესი?

რა ფინანსური კალკულაციები ვიცით (მაგ. ორადგილიანი ოთახის ფასი სეზონზე და არასეზონზე, დანახარჯი, მოგების მარჟა)?

**კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი წარმოების ფაქტორები:**

როგორია სეზონურობა?

რა ბუნებრივი რესურსები არსებობს?

რა ადამიანური რესურსები არსებობს?

რა კაპიტალი არსებობს?

როგორია გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა?

როგორია სხვა ინფრასტრუქტურა?

რა ტექნოლოგიებს ვიყენებთ?

რა ინოვაციები გვაქვს დანერგილი?

**საბაზრო ფაქტორები:**

ვინ არიან თქვენი მომხმარებლები და რა ზომის არის თქვენი ბაზრი?

როგორია მომხმარებლის მახასიათებლები (რა სეგმენტის კლიენტს ვემსახურებით)?

როგორ ხდება ბაზრის დივერსიფიცირება?

როგორია ძირითადი გაყიდვების არხები

(შიდა/გარე/ჯგუფური/ინდივიდუალური/ონლაინ/სააგენტო და ა.შ.)?

ვინ არიან ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები და რა პროცესებია ღირებულებათა ჯაჭვში?

დაასახელეთ პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული დამხმარე სექტორები?

დაასახელეთ შემხებლობაში არსებული სახელმწიფო რეგულაციები და სტანდარტები?

ტურისტული პროდუქტის ან მასთან დაკავშირებული სხვა რომელი მიმართულებების/მომსახურების განვითარების პოტენციალს ვხედავთ მომავალში და რა არის ამის რეალური არგუმენტი/მტკიცებულების საფუძველი?

**SWOT**

უპირატესობები - ძლიერი მხარეები, ნაკლოვანებები - მთავარი პრობლემები, შესაძლებლობები და საფრთხეები

**რა არის ჩვენი მიზანი - რისი მიღწევა გვინდა?**

**ამოცანები/ღონისძიებები მიზნის მისაღწევად:**

რა სახის ღონისძიებები უნდა გატარდეს (მაგალითად, დარგის/სექტორის განვითარების ხელშესაწყობად)?

სად უნდა განხორციელდეს?

როდის/რა პერიოდში უნდა განხორციელდეს კონკრეტული აქტივობები?

ვინ მიიღებს სარგებელს - ძირითადი სამიზნე ჯგუფები/ბენეფიციარები?

ვინ უზრუნველყოფს ღონისძიებების განხორციელებას და როგორ?

ვინ იქნებიან თანამონაწილე/მხარდამჭერი/დამხმარე ორგანიზაციები?

**თემა 3: განათლება, კვალიფიკაციის/უნარების განვითარება, კულტურა, ხელოვნება და სპორტი**

განათლებაზე ხელმისაწვდომობა: ბაღები, სკოლები, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები, მომზადება და გადამზადება; განათლება ინტენსიური მომსახურების სფეროები; მოთხოვნადი პროფესიები;

ხელოვნება და კრეატიული დარგები (ხელსაქმი);

კულტურული მემკვიდრეობა, სოციალური და კულტურული გარემო (ობიექტები და აქტივობები); სპორტული გარემო (აქტივობები და ინფრასტრუქტურა).

**დისკუსია:**

რა სასწავლო/საგანმანათლებლო დაწესებულებები გვაქვს?

როგორია მოსწავლეთა/სტუდენტთა რაოდენობის ზრდის ან კლების დინამიკა ბოლო 10 წლის განმავლობაში?

როგორია ლექტორ-მასწავლებლების კვალიფიკაცია და მათი საჭიროება სავსების მიხედვით? დაასახელეთ მოთხოვნადი პროფესიები.

რამდენად ხელმისაწვდომია კვალიფიციური სპეციალისტები?

ხელოვნების და ხელსაქმის რა დარგებია განვითარებული?

რა კულტურული მემკვიდრეობა გვაქვს (ობიექტები)?

რა სოციო-კულტურული ღონისძიებები ტარდება ან ტარდებოდა?

რა სპორტულ ინფრასტრუქტურას ვფლობთ (ობიექტები)?

რა სპორტული ღონისძიებები ტარდება ან ტარდებოდა?

განათლების სხვა რომელი მიმართულების განვითარების პოტენციალს ვხედავთ მომავალში და რა არის ამის რეალური არგუმენტი/მტკიცებულების საფუძველი?

სოციო-კულტურული სხვა რომელი მიმართულების განვითარების პოტენციალს ვხედავთ მომავალში და რა არის ამის რეალური არგუმენტი/მტკიცებულების საფუძველი?

ხელოვნების და ხელსაქმის სხვა რომელი მიმართულების განვითარების პოტენციალს ვხედავთ მომავალში და რა არის ამის რეალური არგუმენტი/მტკიცებულების საფუძველი?

რა სპორტული მიმართულების განვითარების პოტენციალს ვხედავთ მომავალში და რა არის ამის რეალური არგუმენტი/მტკიცებულების საფუძველი?

**SWOT (განათლება/კულტურა/ხელოვნება/სპორტი)**

უპირატესობები - ძლიერი მხარეები, ნაკლოვანებები - მთავარი პრობლემები, შესაძლებლობები და საფრთხეები

**რა არის ჩვენი მიზანი - რისი მიღწევა გვინდა? (განათლება/კულტურა/ხელოვნება/სპორტი)**

**ამოცანები/ღონისძიებები მიზნის მისაღწევად (განათლება/კულტურა/ხელოვნება/სპორტი):**

რა სახის ღონისძიებები უნდა გატარდეს (მაგალითად, დარგის/სექტორის განვითარების ხელშესაწყობად)?

სად უნდა განხორციელდეს?

როდის/რა პერიოდში უნდა განხორციელდეს კონკრეტული აქტივობები?

ვინ მიიღებს სარგებელს - ძირითადი სამიზნე ჯგუფები/ბენეფიციარები?

ვინ უზრუნველყოფს ღონისძიებების განხორციელებას და როგორ?

ვინ იქნებიან თანამონაწილე/მხარდამჭერი/დამხმარე ორგანიზაციები?

**თემა 4: სოციალური საკითხები და ჯანდაცვა**

დემოგრაფიული ინფორმაცია (მუნიციპალიტეტის სოფლები და ქალაქი);

შრომის ბაზარი - დასაქმება და უმუშევრობა;

სოციალური სანარმოები;

ჯანსაღი, სოციალური და ეკონომიკური არსებობისთვის აუცილებელ რესურსებზე

ხელმისაწვდომობა (მაგალითად, სამედიცინო სერვისები, მალაზია, საპარაკმხერო და ა.შ.);

მოხუცებულები; ერთშვილიანი ოჯახები;

ეთნიკური მრავალფეროვნება და მიგრანტები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

სურსათი, კეთილდღეობა და ნუტრიცია;

ადგილობრივ თვითმმართველობის საკითხებში ჩართულობა.

დემოგრაფიული მონაცემები, მოსახლეობის რაოდენობა, ასაკობრივი მონაცემები, შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა, ოჯახის საშუალო რიცხოვნობა, და ა.შ.

რა სოციო-ეკონომიკური სერვისები არსებობს ადგილობრივ დონეზე?

რა სოციალური პროგრამები არსებობს ადგილობრივ დონეზე?

რომელი დარგები და კომპანიებია ძირითადი დამსაქმებლები?

ადგილზე დასაქმებულთა და უმუშევართა რაოდენობა?

რა სოციალური სანარმოები გვაქვს თემში/ქალაქში?

რა მდგომარეობა გვაქვს მოხუცებულებთან, ერთშვილიანი ოჯახებთან, ეთნიკური ჯგუფებთან,

მიგრანტებთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და კავშირებით? რა ციფრობრივ მონაცემებს ვფლობთ ამასთან და კავშირებით?

როგორია სურსათზე ხელმისაწვდომობა?

როგორია მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა?

იციოთ თუ არა რამდენია ადგილობრივი ბიუჯეტი და რა პროექტებს ხმარდება კონკრეტული თანხები?

რა სოციალური მიმართულების განვითარების პოტენციალს/საჭიროებას ვხედავთ მომავალში და რა არის ამის რეალური არგუმენტი/მტკიცებულების საფუძველი?

**SWOT**

უპირატესობები - ძლიერი მხარეები, ნაკლოვანებები - მთავარი პრობლემები, შესაძლებლობები და საფრთხეები

**რა არის ჩვენი მიზანი - რისი მიღწევა გვინდა?**

**ამოცანები/ღონისძიებები მიზნის მისაღწევად:**

რა სახის ღონისძიებები უნდა გატარდეს (მაგალითად, დარგის/სექტორის განვითარების ხელშესაწყობად)?

სად უნდა განხორციელდეს?

როდის/რა პერიოდში უნდა განხორციელდეს კონკრეტული აქტივობები?

ვინ მიიღებს სარგებელს - ძირითადი სამიზნე ჯგუფები/ბენეფიციარები?  
 ვინ უზრუნველყოფს ღონისძიებების განხორციელებას და როგორ?  
 ვინ იქნებიან თანამონაწილე/მხარდამჭერი/დამხმარე ორგანიზაციები?

**თემა 5: გარემოს დაცვა**  
 დაკული ტერიტორიები; მიწისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობა; ნარჩენების მართვა; ბიო-მრავალფეროვნება; კლიმატური ცვლილებები, ჰაერის/წყლის/ნიადაგის დაბინძურება; განახლებადი ენერჯია და კლიმატის ადაპტაცია.

გვაქვს თუ არა დაკული ტერიტორიები? დაასახელეთ.  
 როგორია მიწის რესურსების გადანაწილება?  
 რა ბუნებრივი რესურსები გავაჩნია? და რამდენად ვიყენებთ?  
 როგორ ხორციელდება ნარჩენების მართვა?  
 რა ღონისძიებები/პროექტები ხორციელდება ბიო-მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით?  
 რა ღონისძიებები/პროექტები ხორციელდება კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებით?  
 რას ღონისძიებები/პროექტები ხორციელდება ჰაერის/წყლის/ნიადაგის დაბინძურებასთან დაკავშირებით?  
 რას ღონისძიებები/პროექტები ხორციელდება განახლებადი ენერჯის გენერირებისთან დაკავშირებით?  
 რას ღონისძიებები/პროექტები ხორციელდება კლიმატური ცვლილებების ადაპტაციასთან დაკავშირებით?  
  
 რა გარემოსდაცვითი მიმართულების განვითარების პოტენციალს/საჭიროებას ვხედავთ მომავალში და რა არის ამის რეალური არგუმენტი/მტკიცებულების საფუძველი?

**SWOT**  
 უპირატესობები - ძლიერი მხარეები, ნაკლოვანებები - მთავარი პრობლემები, შესაძლებლობები და საფრთხეები

**რა არის ჩვენი მიზანი - რისი მიღწევა გვინდა?**

**ამოცანები/ღონისძიებები მიზნის მისაღწევად:**  
 რა სახის ღონისძიებები უნდა გატარდეს (მაგალთად, დარგის/სექტორის განვითარების ხელშესაწყობად)?  
 სად უნდა განხორციელდეს?  
 როდის/რა პერიოდში უნდა განხორციელდეს კონკრეტული აქტივობები?  
 ვინ მიიღებს სარგებელს - ძირითადი სამიზნე ჯგუფები/ბენეფიციარები?  
 ვინ უზრუნველყოფს ღონისძიებების განხორციელებას და როგორ?  
 ვინ იქნებიან თანამონაწილე/მხარდამჭერი/დამხმარე ორგანიზაციები?



**დანართი 2: კითხვარი ძირითადი მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან**

1	განათლების სამინისტროს რესურს ცენტრი	<p>მოსწავლეთა რაოდენობა მუნიციპალიტეტში; სკოლების რაოდენობა; რეაბილიტირებული/გარემონტებული სკოლების რაოდენობა; სარეაბილიტაციო/გასარემონტებელი სკოლების რაოდენობა; აღჭირვილი სკოლების რაოდენობა; აულჯურველი სკოლების რაოდენობა; პედაგოგთა რაოდენობა; საშუალო სკოლა დამთავრებულთა სტატისტიკა სწავლის გაგრძელების შესახებ პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში; ბავშვთა რაოდენობა მუნიციპალიტეტში; საბავშვო ბაღების რაოდენობა; ბავშვთა საშუალო რიცხოვნობა ბაღებში; საბავშვო ბაღების საჭიროება (სად?); რეაბილიტირებული/გარემონტებული საბავშვო ბაღების რაოდენობა; სარეაბილიტაციო/გასარემონტებელი საბავშვო ბაღების რაოდენობა; აღჭირვილი საბავშვო ბაღების რაოდენობა; აულჯურველი საბავშვო ბაღების რაოდენობა.</p>
2	სანიტარული სამსახური	<p>აქტივობები; სერვისებით დაფარვის მასშტაბი; პრობლემები და საჭიროებები; წლიური ბიუჯეტი; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ადამიანური რესურსები; ნაგავსაყრელები და მათი მდგომარეობა; სახიფათო ნარჩენების (პესტიციდები) უტილიზაცია; (სუბსიდი vs გადასახადები).</p>
3	წყალ მომარაგება	<p>აქტივობები; სერვისებით დაფარვის მასშტაბი; პრობლემები და საჭიროებები; წყლის ხარისხი; წყლის მიწები; მოსახლეობის რა ნაწილს მიეწოდება ცენტრალური სასმელი წყალით მომარაგება; ვინ იხდის წყალმომარაგების მომსახურების საფასურს; წლიურ ბიუჯეტი (სუბსიდი vs გადასახადები).</p>
4	ენერგო პრო ჯორჯია (დენი)	<p>აქტივობები; სერვისებით დაფარვის მასშტაბი; პრობლემები და საჭიროებები; ელექტრო ენერჯის გადასახადი; გადასახადზე შეღავათები; ელექტრო ენერჯის მიწოდების/ხელმისაწვდომობის საკითხი ფერმებსა და საწარმოებში (მიყვანის ხარჯი, გამრიცხველიანება, პროცედურები და ვადები).</p>
5	სოციალური მომსახურების სააგენტო	<p>აქტივობები/პროგრამები; სერვისებით დაფარვის მასშტაბი; პრობლემები და საჭიროებები; ასაკოვანი მოსახლეობა; შებენიანი შესაძლებლობების მქონე; მონაცვლად ჯგუფები (ოჯახები); პენსიონერთა რაოდენობა; სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულ ადამიანთა რიცხვი; დასაქმების და უმუშევრობის მაჩვენებლები; ახალგაზრდების დასაქმების მაჩვენებლები; შრომის უსაფრთხოების კონტროლი და დასაქმებულთა უფლებები.</p>
6	ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური დაცვის სამსახური	<p>აქტივობები/პროგრამები; სერვისებით დაფარვის მასშტაბი; პრობლემები და საჭიროებები; ასაკოვანი მოსახლეობა; შებენიანი შესაძლებლობების მქონე; მონაცვლად ჯგუფები (ოჯახები); პენსიონერთა რაოდენობა; სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულ ადამიანთა რიცხვი; ბიუჯეტი; დასაქმების და უმუშევრობის მაჩვენებლები; ახალგაზრდების დასაქმების მაჩვენებლები; შრომის უსაფრთხოების კონტროლი და დასაქმებულთა უფლებები.</p>
7	ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური	<p>აქტივობები/პროგრამები; სერვისებით დაფარვის მასშტაბი; პრობლემები და საჭიროებები; წამყვანი ეკონომიკური სექტორები;</p>

	განვითარების სამსახური	ადგილობრივი ბიზნესების ტიპები; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები; ადგილობრივი ბიუჯეტის სტატისტიკა და მისი წყაროები (სახელმწიფო ტრანსფერები, გადასახადები, მოსაკრებლები, ჯარიმები და ა.შ.).
8	ადგილობრივი თვითმმართველო ბის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მონაცემის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახური	აქტივობები/პროგრამები; სერვისებით დაფარვის მასშტაბი; პრობლემები და საჭიროებები; საგზაო ინფრასტრუქტურა; განხორციელებული ან დაგეგმილი სამშენებლო/არქიტექტურული პროექტები; ადგილობრივი ბიუჯეტი; საგზაო ინფრასტრუქტურის სრული დამთავრების გეგმა და ვადები; სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები; საგზაო ინფრასტრუქტურა ტურისტული დანიშნულების ადგილებამდე.
9	ადგილობრივი თვითმმართველო ბის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდული საკითხების და გენდერული პოლიტიკის სამსახური	აქტივობები/პროგრამები; სერვისებით დაფარვის მასშტაბი; პრობლემები და საჭიროებები; სპორტული აქტივობები; მომსახურების დაფარვის არეალი; პრობლემები და საჭიროებები; ახალგაზრდული აქტივობები; მომსახურების დაფარვის არეალი; პრობლემები და საჭიროებები; გენდერული აქტივობები; მომსახურების დაფარვის არეალი; პრობლემები და საჭიროებები.
10	ადგილობრივი გაზ-მომარაგების კომპანია	აქტივობები/პროგრამები; სერვისებით დაფარვის მასშტაბი; პრობლემები და საჭიროებები; მიმდინარე პროექტები; მთლიანი მუნიციპალიტეტის დაფარვის გეგმა და ვადები.
11	სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახური	აქტივობები/პროგრამები; სერვისებით დაფარვის მასშტაბი; პრობლემები და საჭიროებები; მოქმედი/აქტიური კოოპერაციები მათი საქმიანობა და მდებარეობა; დაფინანსებული პროგრამები (კერძო და საჯარო); სტატისტიკური მონაცემები სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე, მოსავლიანობაზე, ფასებზე, ფერმერთა/საწარმოთა რაოდენობაზე და ა.შ. გავრცელებული ჯიშები და კულტურები. ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურების ტიპები; კვლევითი საქმიანობის მიმართულებით არსებული პრაქტიკა (საკუთარი ცენტრი, უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და ა.შ.); ჯიშთა გამოყვანისა და საჩითილე მეურნეობის პოტენციალი; არსებული სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა და მისი მდგომარეობა (საძოვები, გადასარეკი ტრასები, ქარსანინალმდევო ზოლები); არსებული გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურა (მაგ.: რძის შეგროვება და გადამამუშავება/წარმოება, სასაკლაო, წისქვილი, სანყობი, მაცივარი, შემფუთავი საწარმო, და.ა.შ.); საკადრო საკითხები და კვალიფიციური სპეციალისტები.
12	სურსათის უვნებლობის სააგენტო	აქტივობები/პროგრამები; ფასი; სერვისებით დაფარვის მასშტაბი; პრობლემები და საჭიროებები; ცხოველთა ჯანმრთელობა; სურსათის უვნებლობა; სულადობა; ვეტერინართა რაოდენობა; ლაბორატორიები და ხელმისაწვდომობა; მცენარეთა დაავადებები; საკადრო საკითხები და კვალიფიციური სპეციალისტები.
13	მელიორაცია	აქტივობები/პროგრამები; ფასი; სერვისებით დაფარვის მასშტაბი; პრობლემები და საჭიროებები; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის რა

		ნაწილი ირწყვება; სისტემის პოტენციალი დაფაროს მთლიანი მუნიციპალიტეტი.
14	აგრო-სერვის ცენტრი (მექანიზაცია)	აქტივობები/პროგრამები; მოთხოვნილი სერვისები და ფასები; პოტენციური სერვისები; პრობლემები და საჭიროებები; რა ზომის ფერმერებთან გვაქვს საქმე; რამდენად დიდია მოთხოვნა სერვისებზე და რანდენად აკმაყოფილებს მოთხოვნას მიწოდება.
15	ვეტერინარია	აქტივობები/პროგრამები; მოთხოვნილი სერვისები და ფასები; პოტენციური სერვისები; პრობლემები და საჭიროებები; რა ზომის ფერმერებთან გვაქვს საქმე; რამდენად დიდია მოთხოვნა სერვისებზე და რანდენად აკმაყოფილებს მოთხოვნას მიწოდება.
16	იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	აქტივობები/პროგრამები; სერვისები და ფასები; პრობლემები და საჭიროებები; ტერიტორიის რამდენი პროცენტია დაცული ტერიტორიის კონტროლის ქვეშ; ბრაკონიერობის სტატისტიკა.
17	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	აქტივობები/პროგრამები; სერვისებით დაფარვის მასშტაბი; პრობლემები და საჭიროებები; სასწრაფო დახმარება, აფთიაქები, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, ამბულატორიები, კლინიკები თემებში; აღჭურვილობა; კადრები (ექიმების/ექთნების რაოდენობა) და კვალიფიკაცია.
18	ტურისტული საინფორმაციო ცენტრი	ვიზიტორთა რაოდენობა, ვიზიტორი ქვეყნების პროპორცია, სეზონურობა, ღირსშესანიშნაობები, ყველაზე მეტად მითხოვნილი/საინტერესო ადგილები/მარშრუტები, ტურისტული სერვისები, ინფრასტრუქტურა, ბაზრობები და სავაჭრო ობიექტები, კვების ობიექტები; ხელმისაწვდომი სერვისები რომელსაც სთავაზობს ადგილობრივი სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები (მაგ.: საოჯახო სასტ.; ჰოსტელი, და ა.შ.); სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებების ფასები.
19	კავშირგაბმულობის კომპანია	სერვისები და ფასები; სერვისებით დაფარვის მასშტაბი; პრობლემები და საჭიროებები.

**დანართი 3: შეხვედრების განრიგი**

თემა დაზგუფება	შეხვედრების განრიგი														
	18 Oct	19 Oct	20 Oct	21 Oct	22 Oct	23 Oct	24 Oct	25 Oct	26 Oct	27 Oct	28 Oct	29 Oct	30 Oct	31 Oct	1 Nov
ფარცხანაყანევი							14: 00								
მუხიანი						13: 00									
მალლაკი														13: 00	
ოფურჩხეთი						13: 00									
რიონი														12: 00	
ქვითრი								14: 00							
გუმბრა							13: 00								
გვიბტიბი														15: 00	
ქალაქი წყალტუბო	13: 00														
გეგუთი								12: 00							
პატრიკეთი						12: 00									
ოფშკვითი															13:0 0
საყულია															14:0 0
დღნორისა								13: 00							
მექვენა/დერჩი								11: 00							
სოფელი წყალტუბო							13: 00								
ცხუნკური															13:0 0



**დანართი 4: ძირითადი სერვისების და პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების გამოკითხულთა სია**

#	ორგანიზაცია	სფერო	ინტერვიუს თარიღი
1	წყალტუბოს სოციალური მომსახურების სააგენტო	სოცალური მომსახურება	28.10.2019
2	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური	სოციალური მომსახურება	28.10.2019
3	კულტურის, სპორტის, ტურიზმის ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახური	კულტურა/სპორტი/ ტურიზმი	29.10.2019
4	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური	ეკონომიკა	29.10.2019
5	ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“	ჯანდაცვა	29.10.2019
6	სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველო	ვეტერინარია	31.11.2019
7	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახური	ინფრასტრუქტურა	31.10.2019
8	წყალტუბოს გაერთიანებული წყალმომარაგების სერვის ცენტრი	წყალმომარაგება	31.10.2019
9	ენერგო-პრო ჯორჯიას სერვის ცენტრი	ინფრასტრუქტურა, ელექტროენერჯია	31.10.2019
10	სოკარ გაზ ჯორჯია	ინფრასტრუქტურა, გაზი	31.10.2019
11	სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის ბიურო	სურსათის უვნებლობა	1.11.2019
12	საქართველოს მელიორაციის რეგიონალური სამსახურის იმერეთის სერვის ცენტრი	მელიორაცია	1.11. 2019
13	განათლების სამინისტროს რესურს ცენტრი	განათლება და უნარები	25.10.2019
14	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედახედიანობის სამსახური	ადგილობრივი თვითმმართველობა, უსაფრთხოება	01.11.2019
15	სოფლის მეურნეობის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრი	სოფლის მეურნეობა	25.10.2019
16	შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისის კომპანია	მექანიზაცია, სოფლის მეურნეობა	06.11.2019
17	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	ტურიზმი	25.10.2019
18	ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“	განათლება	9.12.2019



19	საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის კომისია	კულტურა, განათლება, ტურიზმი, სპორტი და ახალგაზრდობის საკითხები	15.11.2019
20	ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“	კულტურა, განათლება, ტურიზმი, სპორტი და ახალგაზრდობის საკითხები	15.11.2019
21	მერიის სოციალური საკითხებისა და ჯანდაცვის სამსახური	სოციალური საკითხები და ჯანდაცვა	14.11.2019
22	ა(ა)იპ „სათნოების სახლი“	სოციალური	14.11.2019
23	სასტუმრო წყალტუბო პლაზა	ტურიზმი	17.11.2019
24	ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმი და „ოტიას ეზო“	ტურიზმი	15.11.2019
25	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	ტურიზმი	16.11.2019
26	რესტორანი „ვილინო“	მომსახურება	14.11.2019
27	კაფე-ბარი „ნექტარი“	მომსახურება	14.11.2019
28	წყალტუბოს სადღესასწაულო ბაღი	მომსახურება	28.11.2019
29	საოჯახო ტიპის სასტუმრო „მირიან მეფე“	ტურიზმი	05.12.2019

